# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 23 მაისი, 2009 წელი.

№ 101 (6202)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## ედუარდ შევარდნაძე:

## თუ იმის თავი არ გაქვს, რომ ხალხს შეხვდე, პრეზიდენტად რა გინდა!



3



## გიორგი ივანიაშვილი-ორბელიანი:

სამწუხაროდ, ოპოზიციას არა აქვს როგორც ხელისუფლების ხელში აღების, ისე პროგრესული რეფორმების გატარების რესურსი 4



## ცხელი თავები გაიგრილეთ, პატივცემულებო!



გაიშლება ახალი კარვების ქალაქი რკინიგზის დეპარტამენტის შენობის წინ? 2

## როგორ „აპრავებს" ხელისუფლება პოლიტპატიმართა საქმეებს 2

## რატომ?! 5




## დევნილთა ყოფის მძიმე სურათები 4



### ფრაზა დღის ამ ფრაზურიდან

**ნესტან კირთაძე:**
**(ლეიბორისტული პარტია)**

— ჩვენში სოკოებივით გაჩენილ შინაურ თუ გარეულ ბანკებს ჩვენი მოსახლეობის ორასი ათასი მოვალე ჰყავთ როგორც ქალაქად, ისე სოფლად, ამ მოვალეთა მზარდი რიცხვი მალე, ალბათ, ნახევარ მილიონამდე გაიზრდება, და ამ ადამიანებს შიმშილით სიკვდილი ელოდება, თუ ხელისუფლებამ დროულად არ იღონა რამე და გარანტად არ დაუდგა თუნდაც ამ ოთხნახევარი მილიარდის იმედით, რომელსაც დასავლეთი დახმარების სახით გვპირდება, როგორც ხედავთ, სააკაშვილმა ქვეყანა ნაციონალურ კატასტროფამდე მიიყვანა...

(„კავკასიის" სტუდია, 20 მაისი).



## სააკაშვილი ყველა მხრიდან მოიმწყვდიეს 8

რა დღეშიც ვართ

# ცხელი თავები გაიგრილეთ, პატივცემულებო!

## გაიშლება ახალი კარვების ქალაქი რკინიგზის დეპარტამენტის შენობის წინ?

შპს „საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ეზუგბაიამ 20 მაისს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, თითქოს ოპოზიცია გეგმავს რკინიგზის მაგისტრალის გადაკეტვას და აფეთქებას, რაც გამოიწვევს ტვირთის გადაზიდვის შეფერხებას და 35 ათასი კაცით შტატების შემცირებას.

ვაცხადებთ, რომ რკინიგზის გადაკეტვის და, მით უმეტეს, აფეთქებას, არავინ აპირებს. ეს არის ხელისუფლების პროვოკაცია, რათა რკინიგზაში მოსალოდნელ შემცირებაზე პასუხისმგებლობა ოპოზიციას დააკისრონ. განსაკუთრებით კომიკურია ის ფაქტი, რომ რკინიგზაში, სადაც 15 ათასი კაცია დასაქმებული, ეზუგბაია 35 ათასი რკინიგზელის გათავისუფლებას წინასწარმეტყველებს. რეალურად, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე უკვე შედგენილია 3,5 ათასი რკინიგზელის სია, რომელთაც სამსახურიდან დათხოვნას უპირებენ.

ვაფრთხილებთ ეზუგბაიას, არ დაარღვიოს რკინიგზელთა უფლებები. წინააღმდეგ შემთხვევაში გავმართავთ საპროტესტო აქციებს უშუალოდ რკინიგზის ადმინისტრაციის წინ.




ამ განცხადებით დაიწყო კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა გამოსვლა გუშინ „საქართველოს რკინიგზის" დეპარტამენტის შენობის სადარბაზო შესასვლელის წინ ოპოზიციური პარტიების ლიდერთა ჯგუფის მიერ გამართულ ბრიფინგზე. ასევე აღინიშნა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შედგენილ გასათავისუფლებელ თანამშრომელთა სიაში ის ხალხია შეტანილი, ვინც თავისი კვალიფიკაციით რკინიგზის ხერხემალს წარმოადგენს. ძირითადად კი კომპანიაში ნაციონალური მოძრაობის თბილად მოკალათებულ წევრების დატოვებას აპირებენ.

ამასთან დაკავშირებით მედიის წარმომადგენლებსა და დამსწრეთ რამდენიმე საგულისხმო ციფრი გააცნეს.

კერძოდ, აღნიშნეს, რომ **ეზუგბაიას ექვს მოადგილეს უფრო მეტი ხელფასი აქვს, ვიდრე 200 მემანქანეს ერთად აღებულს, ხოლო დღეს, როცა რკინიგზის უამრავი თანამშრომლის თავზე სამსახურიდან დათხოვნის საფრთხე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია, სულ ათიოდე დღის წინათ ორი კონსულტანტი — ნინო ოხანაშვილი და დავით ჯაფარიძე მიიღეს და გასამრჯელოც „შესაბამისი", თითოეულს 4956-4956 ლარი დაუნიშნეს. „საქართველოს რკინიგზაში" პრესტიჟულ თანამდებობებზე მუშაობს 15 ყოფილი პარლამენტარი, რომელთაც პროფესიულად რკინიგზასთან არანაირი შეხება არა აქვთ. შელახული ვაგონების შეკეთებაში გაცილებით მეტი ფული გადაიხადეს, ვიდრე ახლები ღირს რუსეთში. ამდენად, „საქართველოს რკინიგზა" ნაციონალურმა მოძრაობამ, ფაქტობრივად, თავის „ფინანსურ ჯიბედ" გადააქცია. ამასთან, ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ ბოლო წლებში (და არა აპრილ-მაისში, როგორც მთავრობა აცხადებს — ო. ტ.) რკინიგზის მთლიანი ტვირთბრუნვა დაახლოებით ექვსჯერ შემცირდა.**

— რკინიგზის აფეთქების აბსურდული ბრალდებით, ეზუგბაიამ ოპოზიციას სრულიად აბსურდული ბრალდება წამოგვიყენა, თითქოსდა ამის გაკეთებას ვაპირებთ და ვითომ ამ მუქარის შიშით ტვირთის ისეთმა სოლიდურმა გადამზიდველებმა, როგორებიც არიან, ვთქვათ, „ექსონი", „შევრონი" და სხვები, კომპანიის მომსახურებაზე უარი თქვეს და ტვირთბრუნვაც ამიტომ შემცირდა, — თქვა ბრიფინგზე ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ზურაბიშვილმა. — სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ასეთი განზრახვა მართლაც ვინმე გონებადაკარგულ კაცს რომ ჰქონოდა კიდეც, სერიოზული კომპანიები თავიანთ სატრანზიტო პოლიტიკას ერთ და ორ დღეში არ ცვლიან. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ის არის, რომ აგვისტოს მოვლენების დროსაც კი, როდესაც რკინიგზის ხიდი მართლა ააფეთქეს, ტვირთის გადაზიდვა არ შეწყვეტილა. ყველაზე მთავარი მაინც ის გარემოებაა, რომ **მსხვილ გადამზიდველებს „საქართველოს რკინიგზასთან" კონტრაქტის ვადა გაუვიდათ, ხოლო რუსეთელებმა უფრო ხელსაყრელი ტარიფები შესთავაზეს, ამიტომაც ტვირთი ამ მიმართულებით გადამისამართდა.**

აი, ეს არის იმ ანტიეროვნული ეკონომიკური და სატარიფო პოლიტიკის შედეგი, რომელსაც დღევანდელი მთავრობა ეწევა და არა ოპოზიციის გარკვეული, ვირტუალური „მუქარა". ამ ქვეყანაში პოლიტიზებულია აბსოლუტურად ყველაფერი — დაწყებული საპატრულო პოლიციით და რკინიგზით აქვს, გნებავთ, დასუფთავების სამსახურით დამთავრებული.

თავის მხრივ ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, რომ მუხროვანის ცნობილ ინციდენტს ორიოდე დღის წინათ სავალალო შედეგი მოჰყვა, — ერთი კაცი დაიღუპა, ხოლო ორი უმძიმეს მდგომარეობაშია, არადა ეს სწორედ ის ხალხია, ვისაც, შესაძლოა, ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჰქონდა ამ ამბავთან დაკავშირებით.

— რკინიგზასთან დაკავშირებით მოვლენებიც მსგავსი სცენარით ვითარდება: ვიღაცის დაავადებულ გონებაში რაღაც გიჟური აზრი დატრიალდა და შემდგომ მისი განხორციელების ოპოზიციური ძალებისთვის გადაბრალება მოიფიქრა. ჩემი რჩევაა, ცხელი თვეები გაიგრილონ და თავიანთ საქმეს მიხედონ. ეზუგბაიამ რამდენიმე დღის წინათ თავს უფლება მისცა, ნატოს ტვირთი გაეჩერებინა, რომელიც ავღანეთის მიმართულებით გადაჰქონდათ და ამის მიზეზი ის იყო, რომ ერთ-ერთი გადამზიდავი ფირმის წარმომადგენელი, კერძოდ, ირაკლი იაშვილი, ოპოზიციური პარტიების ლიდერებთან დაახლოებული პირია. ეს ამბავი მას პირადად ეზუგბაიამ განუცხადა, — თქვა ფიქრია ჩიხრაძემ.

ბრიფინგის დასრულების შემდეგ მისმა ინიციატორებმა ტრიბუნა კომპანიის შენობისკენ შეატრიალეს და მოთხოვნები მის ხელმძღვანელობას მეგაფონით შეატყობინეს. კერძოდ, ითქვა, რომ თუ ეზუგბაიას ადმინისტრაცია გაბედავს და თუნდაც ერთ რიგით რკინიგზელს დაითხოვს სამსახურიდან, მაშინ მისი ოფისის წინ ისეთივე კარვების ქალაქი გაიშლება, რომლის მსგავსი დედაქალაქის არაერთ უბანში უკვე თვენახევარია დგას.

**ოთარ ტურაბელიძე**

ბრიფინგი

**გუშინ ახალგაზრდულმა სამოქალაქო წინააღმდეგობის ორგანიზაციამ „რატომ?" საკუთარ ოფისში განცხადება გააკეთა სამთავრობო სტრუქტურებში არსებულ კორუფციაზე და ეკონომიკის სამინისტრო არასამართლებრივი ფინანსური გარიგებების და უფლებამოსილების გადაჭარბებაში დაადანაშაულეს. ორგანიზაციის აქტივისტებმა ეკონომიკის სამინისტროს მიერ დადებული ხელშეკრულებები, ყიდვა-გაყიდვებსა და აუქციონებზე ოფიციალური განაცხადები წარმოადგინეს, რომლებიც მათი აზრით რეალობას არ შეესაბამება და მხოლოდ საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ემსახურება.**

### „რატომ"? ეკონომიკის სამინისტროს ადანაშაულებს

**დავით ფაცაცია, „რატომ?"-ის წევრი:**

— საჯაროდ ვაცხადებთ, რომ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო და მისი ახლანდელი ხელმძღვანელი ბატონი ლაშა ჟვანია წინამორბედის ტრადიციებს წარმატებით აგრძელებს და სახელმწიფო ქონებას ანიავებს. ამას ჩვენ ყველანაირი მეთოდით შევუშლით ხელს. გავამწვავებთ აქციებს და ლაშა ჟვანიას საზოგადოების შეცდომაში შეყვანის უფლებას არ მივცემთ.

**ვახო მაისურაძე, „რატომ?"-ის წევრი:**

— ვადანაშაულებთ ეკონომიკის სამინისტროს არა მარტო 2008 წლის, არამედ სხვა წლების ბიუჯეტის არამიზნობრივ დახარჯვაში. ჩვენს მოთხოვნაზე, დაესაბუთებინათ სამინისტროს მიერ შეძენილი 6 ერთეული „ტოიოტა ქემრის" შეძენის საჭიროება და თანხის წარმომავლობა, სამინისტროსგან მხოლოდ ზოგადი პასუხი მივიღეთ. ამ და სხვა დარღვევების გამო სასამართლოში სარჩელის შეტანას ვაპირებთ.

ბრიფინგზე ასევე განაცხადეს, რომ მათი ორგანიზაცია აუცილებლად გააგრძელებს აქციებს ეკონომიკის სამინისტროსთან, არაკეთილსინდისიერ ჩინოვნიკებს საქართველოს ქონების განიავების უფლებას არ მისცემენ.

**ანა წიწილაშვილი**

მრგვალი მაგიდა

# როგორ „აპრავებს" ხელისუფლება პოლიტპატიმართა საქმეებს

**„პოლიტპატიმრები საქართველოში: მითი თუ რეალობა?" — ასე ერქვა „მრგვალ მაგიდას", რომელიც საერთაშორისო პრესცენტრ „რია ნოვოსტიში" გაიმართა. მრგვალ მაგიდაში მონაწილეობდნენ: ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი, ლეიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანი ნესტან კირთაძე, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა კუკავა, ადვოკატი გელა ნიკოლეიშვილი, ასოციაციის „კანონი ხალხისთვის" თავმჯდომარე ზაქარია ქუცნაშვილი, პროფესორი ზიძინა სავანელი.**

ნესტან კირთაძის თქმით, დემოკრატიის შუქურად მოსული ხელისუფლება, რომელიც ყოველწლიურად ვითომდა იწყებს დემოკრატიის ახალ ტალღას და ტაიფუნს, თანდათანობით საშიშ და სახიფათო რეჟიმად ყალიბდება. მისი განცხადებით, სააკაშვილის ხელისუფლების დროს სწორედ პოლიტიკური მოტივით ლეიბორისტული პარტიის მრავალი წევრი დააპატიმრეს.

ითქვა, რომ არც საქართველოში და არც ერთი ქვეყნის კანონმდებლობაში არ არსებობს მუხლი, რომელიც უშუალოდ პოლიტიკური პატიმრის მიმართ აღძრავს საქმეს, ამიტომ საქართველოში ხელისუფლება იარაღისა და ნარკოტიკის ჩადებით „აპრავებს" დაპატიმრებას, სინამდვილეში კი კახა კუკავას თქმით, ასეთ დაკავებულთა 80 პროცენტი უდანაშაულოა.

კონსერვატიულმა პარტიამ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და იურისტების მონაწილეობით, შექმნა კომისია, რომელიც უშუალოდ პოლიტიკური პატიმრების საქმეზე მუშაობს. კახა კუკავამ აღნიშნა, რომ 100 ადამიანის მიმართ საქართველოში დღემდე მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე პოლიტიკური ნიშნით. კომისია მომავალ კვირას ე.წ. მუხროვანის საქმეების საჯარო მოსმენას გამართავს.

ირაკლი ბათიაშვილმა აღშფოთება გამოხატა საქართველოში არსებული ავტორიტარული რეჟიმის გამო. მისი თქმით, წმინდა წყლის მძევალია ნორა კვიციანი, ვინც მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ ემზარ კვიციანის დაა. გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერისთვის ასევე, მიუღებელია კოზა ოთანაძის მთელი ოჯახის მძევლად აყვანა, მისი ძმების დაწიოკება და ერთ-ერთი ძმისშვილის სკოლიდან გამოგდებაც კი. მან ასევე, ილაპარაკა შეიარაღებული ძალების — სამხედროების მიმართ ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ ტერორზე, მისი




თქმით, უამრავი სამხედროა დაპატიმრებული, კოზა კოზალაძეც წმინდა წყლის პოლიტიკური პატიმარია. მისი თქმით, კარგი იქნება, თუ კომისია ღია საჯარო ახსნა-განმარტებებს მოისმენს ე. წ. მუხროვანის გამო და გაირკვევა, რა გაითამაშა ხელისუფლებამ სისხლიანი რეპრესიების დასაწყებად, რასაც პოლკოვნიკი გია კრიალაშვილი — კეთილსინდისიერი სამხედრო შეეწირა.

ირაკლი ბათიაშვილის თქმით, უშიშროების პოლკოვნიკი ზაზა ბრეგაძე მხოლოდ იმის გამო დააპატიმრეს, რომ მისი მეგობარი იყო.

„ჩვენთვის ამ აქციებს სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, მშვიდ პოლიტიკურ ბრძოლას ვგულისხმობ. თუ ოპოზიცია შეწყვეტს ამ აქციებს, ჩვენი მომხრეების მასობრივი რეპრესიები დაიწყება", — განაცხადა ბათიაშვილმა.

**ნატა ნიბლაძე**

## ექსკლუზიური ინტერვიუ

***რატომ უთხრა ეს სიტყვები ცნობილმა პოლიტიკოსმა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტებს და როგორ აფასებს იგი ქვეყნის უახლოეს წარსულს და ამჟამინდელ ვითარებას?***

***პოლიტიკურად გაკოტრებული სააკაშვილი და მისი გარემოცვა ოპოზიციის ლიდერთა ხანგრძლივი და უშედეგო ლანძღვა-გინების შემდეგ წინა ხელისუფლების ენამწარე კრიტიკას მიუბრუნდა — ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით თავზარდაცემული პრეზიდენტი სააკაშვილი ბოლო დროს თავის გამოსვლებში ერთობ რიხიანად გვემუსაიფება ხოლმე თავისი მმართველობის „მოღვაწეობასა“ და წინამორბედის მიერ დაშვებულ ქვეყნისთვის დამღუპველ შეცდომებზე... საზოგადოებისთვის სავსებით გასაგები უნდა იყოს საპროტესტო აქციებით შიშნაჭამ სააკაშვილს მომავლისკენ გახედვაც არ სურს და სააგიტაციო თემებს წარსულში ეძებს...***

***გთავაზობთ ინტერვიუს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან, რომელიც ამ ბოლო დროს სააკაშვილის კრიტიკის ერთ-ერთი მთავარი ობიექტი გახდა.***

# ედუარდ შევარდნაძე: თუ იმის თავი არ გაქვს, რომ ხალხს შეხვდე, პრეზიდენტად რა გინდა!

**— ბატონო ედუარდ, პრეზიდენტი სააკაშვილი ძველი ხელისუფლების კრიტიკას არასოდეს ერიდებოდა, მაგრამ ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით უსვამს ხაზს „დღევანდელ ეკონომიკურ წინსვლასა“ და თქვენი მმართველობის პერიოდში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.**

**კონკრეტულად, ასე იყო თუნდაც წინანდალში, ფოთსა და ზუგდიდში მოსახლეობასთან შეხვედრისას. რას უპასუხებდით პრეზიდენტის ამ კრიტიკას?**

— არ მეკადრება თავის მართლება, მაგრამ სინამდვილე ხომ უნდა გაირკვეს?! ზოგს მისი სჯერა, ზოგს ის, რასაც მე ვამბობ. საერთოდ, წინამორბედის ლანძღვა-გინება არ არის კარგი თვისება და საკადრისი საქციელი.

**— აქამდე სააკაშვილი შექმნილი პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის შეფასების დროს თქვენს გვარს ასე ხშირად არ ახსენებდა. ახლა კი ყველა მინუსი თქვენს ხელისუფლებას ბრალდება, რატომ?**

— არ მინდა ძალიან უხეში ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ ეს პრიმიტიული აზროვნების შედეგია. სხვათა შორის, არა მარტო პრეზიდენტი, არამედ ოპოზიციონერებიც თვლიან, რომ აქამდე არაფერი გაკეთებულა და ქვეყნის სათავეში თვითონ თუ მოვლენ, ქვეყანა აშენდება. საერთოდ, ოპოზიციამ შეიძლება ბევრი ილაპარაკოს და ვერც მოსთხოვ, რომ საქმის კურსში იყოს ყველაფერზე...

ერთადერთი კაცი კაკო ასათიანი იყო, რომელმაც, როცა საქართველოში ჩამოვედი (1993 წელსძ, თქვა, შევარდნაძე რომ არ დაბრუნებულიყო, საქართველო მიწასთან იყო გასწორებულიო... დანარჩენს არავის აღარ ახსოვს, რა იყო 90-იანი წლების საქართველო, რატომ მოვუნდით კონსტიტუციის მიღებას სამი წელი, რატომ დავიწყეთ მაშინ რეფორმები დანგრეულ ქვეყანაში და ა. შ. სხვათა შორის, მაშინ პირველი, რაც გაკეთდა, იყო მიწის რეფორმა — მილიონზე მეტმა ოჯახმა მიიღო მიწა საკუთრებაში. რომ არა ეს რეფორმა, რაც უნდა დახმარება მიგვეღო ამერიკიდან და დასავლეთიდან, საქართველო შიმშილით ამოწყდებოდა.

ამ ღონისძიების მთავარი მიზანი იყო დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება. დღეს ოპოზიციის წარმომადგენლები ხშირად ამბობენ ხოლმე: შევარდნაძის დროს პრესა თავისუფალი იყოო. მაშინ რასაც ფიქრობდი, იმას ამბობდი და არ გიჭერდნენ... მინდა გაგახსენოთ თუნდაც გადაცემა „დარდუბალა“. მას რომ ვუყურებდი, ჭკუაზე ვერ მოვდიოდი, მაგრამ ვითმენდი, ჩემს თავს ყოველთვის ვეუბნებოდი: თუ სამშობლოში დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად ჩამოხვედი, უნდა მოითმინო ისეთი გადაცემა, როგორიც „დარდუბალაა“. ვითმენდი კიდეც...

**— რაც შეეხება დღევანდელ პროცესებს, 2003 წლის ნოემბერში, უკიდურესად დაძაბული სიტუაციის მიუხედავად, თქვენ გახვედით პარლამენტის წინ საპროტესტო აქციაზე შეკრებილ ხალხთან. სააკაშვილი ასეთ ნაბიჯზე არ მიდის, როგორ შეაფასებთ მის „თავშეკავებას“?**

— ჯერ ერთი, მე რომ გავედი, ხალხისთვის უნდა ამეხსნა, რა მოხდა, რატომ გამომიყვანეს პარლამენტის სხდომიდან და რატომ გამოყარეს დეპუტატები. პირველი, რაც მაშინ მითხრეს, სანამ საუბარს დავიწყებდი, იყო — არ შედრკე, არ დაიჩოქო, ხვალ აქ ასიათასი კაცი იქნებაო... მე ყველას ავუხსენი, რა მოხდა და მომხდარს დავარქვი სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. შემდგომ გამოვაცხადე საგანგებო მდგომარეობა, რაც გულისხმობს, რომ მე ჯერ კიდევ პრეზიდენტი ვარ, ქვეყნის მთავარსარდალი და მემორჩილება არმია. რა თქმა უნდა, ჯარი დაშლიდა დემონსტრაციას, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? — აქეთაც ქართველები იდგნენ და იქითაც. ამიტომ სახლში რომ ვბრუნდებოდი, მანქანიდანვე დავრეკე კანცელარიაში და საგანგებო მდგომარეობის შესახებ ჩემი ბრძანებულება უკან გამოვითხოვე.



მეორე დღეს შეხვედრაზე დავიბარე მაშინდელი ოპოზიციის ლიდერები — ბურჯანაძე, სააკაშვილი და ჟვანია... (ბურჯანაძე არ მოვიდაძ შეხვედრაზე ჩემს გვერდით იჯდა ავთო ჯორბენაძე... (მანამდე აფხაზეთში ერთად ვომობდით, უერთგულესი კაცი იყო, მაგრამ მერე ამათ გადაიბირეს — ხანდახან მეუბნებოდა: ერთი წავალ, ამ ბიჭებს ვკითხავ რა უნდათო, ანუ მაშინ უკვე გადაბირების პროცესი მიდიოდაძ.

პირველი, რაც სააკაშვილს და ჟვანიას ვკითხე, იყო — ბიჭებო, რა გამოსავალია-მეთქი. ზურამ დაიწყო: ყველაზე უმტკივნეულო გამოსავალი იქნებოდა პრეზიდენტის გადადგომაო. მაგრამ თქვენი გაზრდილები ვართ და ამას ვერ გაგიბედავთო. მე ვუთხარი ჩემი გადაწყვეტილება, რომ დღეიდან მე პრეზიდენტი აღარ ვარ... ისინი, რა თქმა უნდა, დაიბნენ, კადრებშიც ჩანდა, რომ სახეზე ფერი არ ედოთ. ალბათ ელოდნენ, რომ ამ პროცესს ერთი-ორი თვე მაინც დასჭირდებოდა, მაგრამ...

სხვათა შორის, ერთ რამეში მართლები იყვნენ — 90-იანი წლების პირველ ნახევარში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, ვითარება არ იყო დამაკმაყოფილებელი... მაგრამ, კორუფციას რომ ებრძოლო, უნდა გქონდეს შესაბამისი კანონი, ხელისუფალი უნდა იყოს ლეგიტიმური და ა. შ. მაშინ არ იყო არც პარლამენტი, არც მთავრობა და სახელმწიფო საბჭოს მეთაურს გვარდია და სამხედროებიც კი არ ემორჩილებოდნენ. ამაში იყო მთელი უბედურება... კიტოვანი რომ შევიდა აფხაზეთში და სოხუმის საზღვარს მიადგა, ელცინი სოჭში ისვენებდა და დამირეკა — როგორც ვიცი, თქვენი არმია სოხუმს მიუახლოვდა და იქ შესვლა არ შეიძლება, რადგან იქ ჩვენი ორი ბატალიონი დგას, მესაზღვრეებიც ჩვენები არიან და თქვენი შესვლა ნიშნავს რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებასო. მე, რა თქმა უნდა, მაშინვე დავურეკე კიტოვანს და კატეგორიულად ავუკრძალე სოხუმში შესვლა, მაგრამ რადგან არ მემორჩილებოდა, მაინც თავისი გააკეთა. მერე დავურეკე გოგა ხაინდრავას და ვუთხარი: გააფრთხილე კიტოვანი, რომ არ გაბედოს სოხუმში შესვლა, თორემ პირადად შენ აგებ ყველაფერზე პასუხს-მეთქი. ამის პასუხად კი კიტოვანმა განაცხადა, მე მაინც შევალ სოხუმშიო... შევიდა და დაიწყო ეს უბედური ომი... რომ არ შევსულიყავით, სოხუმში აფხაზები აღარ იყვნენ, იყო ერთი ლორიკ მარშანია (რომელიც ჩვენი თანამებრძოლი იყოძ და ადა მარშანია. დანარჩენი აფხაზები გაიქცნენ გუდაუთაში...

**— რაც შეეხება ბოლოდროინდელ მოვლენებს, ოპოზიცია ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური კრიზისიდან ერთადერთ გამოსავალს ხელისუფლების შეცვლაში ხედავს. თქვენი აზრით, რამდენად ადეკვატურია ეს მიდგომა და მიგაჩნიათ თუ არა, რომ ვადამდელი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევნები არსებულ ვითარებაში აუცილებელია?**

— ნუ მიწყენთ, მაგრამ თქვენ ან გაზეთებს არ კითხულობთ, ან დროის გასატარებლად მოხვედით ჩემთან. ამას წინათ ერთ-ერთი გაზეთის ჟურნალისტმა მკითხა: თქვენ რომ იყოთ სააკაშვილის ადგილზე, როგორ მოიქცეოდითო. პასუხი დავმარცვლე: გა-დავ-დგე-ბო-დი!

ამ ხელისუფლების საბედისწერო შეცდომა იყო ის, რომ პირველად, როცა სულ ოთხმოცი კაცი შეიკრიბა უმუშევრობის გამო, მათ ყურადღება არ მიაქციეს. თუ ადამიანს იმის თავი არ გაქვს, რომ ხალხს შეხვდე, დაელაპარაკო და რამე აუხსნა, მაშინ პრეზიდენტად რა გინდა?

**— 6 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე სააკაშვილმა ოპოზიციას კონკრეტული წინადადება შესთავაზა, ოპოზიციამ ამ შეთავაზებებს ფარსი უწოდა. თქვენი აზრით, რეალურად რას შეცვლიდა ხელისუფლების ინიციატივები?**

— ერთი ვიცი, რომ იმას, რაც მოხდა, დიალოგს ვერ დაარქმევთ. იქ იყო რაღაც ძალით წამოწყებული პირობები ხელისუფლების მხრიდან, რაც ოპოზიციამ არ მიიღო და მოლაპარაკება თავისთავად უშედეგოდ დასრულდა, თუმცა ამას ოპოზიციას ვერ დავაბრალებთ...

**ჯაბა ჟვანია,**
**გია გაბრიჭიძე**

***P. S.*** *ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდი საქართველოს ისტორიაში შეიძლება (და ასეც არის) ვერ შევიდეს, როგორც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის ეპოქა, მაგრამ მის პოლიტიკურ და თუნდაც პიროვნულ ბიოგრაფიას თუ გადავხედავთ, უთუოდ დავრწმუნდებით, რომ მის თვისებებში ყოველთვის უხვად იყო ის, რაც ჩვენს დღევანდელ პოლიტიკოსებს უმეტესწილად აკლდათ: — კრიტიკულ სიტუაციაში რისკის და სწორი ნაბიჯის გადადგმის უნარი.*

*...თავად შევარდნაძესაც არაერთხელ აქვს ნათქვამი: კიდევ კარგი, რომ ჩემს „შეგირდებს“ ხეზე ასვლა არ ვასწავლეო... იქნებ სწორედ ესაა ბატონო ედუარდ თქვენი მთავარი შეცდომა?! იქნებ სჯობდა, ხეზე ასვლა გესწავლებინათ და იქიდან ჩამოცოცება ან სულაც თავით გადმოხტომა?...*

## ჩვენი მწარე სინამდვილე

# დევნილთა ყოფის მძიმე სურათები

## ანუ „ცხოვრება მშვენიერია?!“

**2003 წლის 23 ნოემბერს მთელ საქართველოს თუ არა, ნახევარზე მეტს ალბათ სჯეროდა, რომ დაკარგული ქართული მიწა-წყალი დაბრუნდებოდა. ბევრ დევნილს გაუჩნდა იმედი, რომ თავიანთ სახლკარს, მშობლიურ ადგილებს დაუბრუნებდნენ. თუმცა, ალბათ ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ წარმოვიდგენდით იმას, რაც 2008 წლის აგვისტოში მოხდა. „ვარდების რევოლუციით“ მოსულმა ხელისუფლებამ, იმის მაგივრად, რომ დაკარგული ტერიტორიები დაებრუნებინა, კოდორის ხეობა და ახალგორი დათმო და დევნილთა ისედაც დიდი რიცხვი, კიდევ უფრო გაზარდა. ამას ისიც დაემატა, რომ რატომღაც, ხელისუფლებამ დევნილები დაჰყო „შევარდნაძის“ და „სააკაშვილის“ დევნილებად და თავის თავზე „სააკაშვილის“ დევნილებზე ზრუნვა აიღო. თუმცა როგორ, ამის შემსწრე პირადად გახლდით.**

მაშინ, როცა ჩვენი ჯარისკაცები სამაჩაბლოში ჩვენს მიწას იცავდნენ, ნაციონალების აქტივისტებმა რესპუბლიკის მოედანზე, თითქოს მათ გასამხნევებლად, აქცია მოაწყვეს. ერთი ქალბატონი ძალიან ცდილობდა ბარიერის გადალახვას, უნდოდა იმ სცენასთან მისულიყო, რომელზეც ბატონ კობა სუბელიანიც იწონებდა თავს სხვებთან ერთად და საიდანაც სცენაზე მდგომმა ქალებმა უხეშად გააბრუნეს უკან ყველასთვის კარგად ცნობილი ქალბატონი ქეთი დოლიძე. მივედი გამწარებულ ქალთან (ისიც ლახვის ხეობიდან დევნილი აღმოჩნდაძ და ვკითხე, თუ რა აწუხებდა. მან გასაღები მაჩვენა და მითხრა: „ეს გასაღები სუბელიანს უნდა დავუბრუნო, მე ტყვიებს გამოვექეცი, ჩემი სახლკარი გადაწვეს და აქ იმის მაგივრად, რომ თავშესაფარი მოეცათ, რაღაც დანგრეულ ბინაში შემიშვეს, იატაკიც კი არ არის, მის მაგივრად ბალახია ამოსული. მე რა, ჩემი ნებით წამოვედი აქ? იძულებული გავხდი, შვილო, თორემ აქ რა მინდოდა?“ მან როგორღაც მოახერხა მცველებს შორის გაძრომა, მივიდა სუბელიანთან და გასაღები დაუბრუნა. ბატონი „ლტოლვილების ქომაგი“ არ დაიბნა და საკმაოდ ხმამაღლა უპასუხა: „წადი ქალო, დადექი პარლამენტთან, მოვა ავტობუსი და წაგიყვანს სადმე ბინაში“. აი, ასე ანუგეშებდნენ სიკვდილს გადარჩენილებს. ხოლო ის, რაც ამ დღეებში სამინისტროსთან ხდებოდა, ჯოჯოხეთზე უარესი იყო. მახსოვს, ერთი ქალბატონი, რომელსაც ატირებული სამი წლის გოგონა ჰყავდა გულზე მიხუტებული და მთელი ხმით კიოდა: „ეს უნამუსოები, ლობიოს და მაკარონს რომ მიგზავნიან, იმას არც ქვაბი უნდა და არც გაზი მოსახარშად? აქ შიმშილით თუ უნდა მოვმკვდარიყავი, არ ჯობდა იქ რუსებს მოვეკალი ტყვიით?“

ვარკეთილის მე-4 მ/რ-ში ერთი სკოლაა, სადაც იმ პერიოდში დევნილები შეასახლეს. მათი მდგომარეობის გასაგებად შესახლებიდან ათი დღის შემდეგ მივედი. ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლებიდან არანაირი დახმარება არ ქონდათ მიღებული და გარშემო მცხოვრები მოსახლეობის შემოწირულობით გაჰქონდათ თავი. დევნილთა საკვებით მომარაგება დღესაც კი მსოფლიო სასურსათო პროგრამით ხდება. თავიდან მათთან დახმარება კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში ათ დღეში ერთხელ შეჰქონდათ., შემდეგ — ოც დღეში ერთხელ, ახლა კი თვეში ერთხელ მიაქვთ. რაციონი ერთ სულზე ასეთია: მაკარონი 4,5 კგ. ლობიო, 1,5 კგ., შაქარი 0,6 კგ., მარილი 0,125 კგ., ზეთი 1 ლიტრი. ამ რაციონით, ალბათ დამერწმუნებით, რომ ერთი თვე თავის გატანა ძალიან ძნელია.

ბოლო დროს ხელისუფლებამ დაიწყო დევნილების დაკმაყოფილება საცხოვრებელი ფართით და თანხით, მაგრამ აქ ისეთი განუკითხაობაა, ჭკუაზე შეიშლები. ხეობის მაჟორიტარი დეპუტატი, ბატონი ბადრი ბასიშვილი ერთპიროვნულად წყვეტს ვის მისცეს კოტეჯი, რამდენი და სად.

ამაზრზენი სანახავი იყო მათ მიერ ჩატარებული კენჭისყრები კოტეჯების გასანაწილებლად (მე დავესწარი წეროვანის კოტეჯების განაწილებასძ. გამგეობის შენობა სავსე იყო გასაცოდავებული ხალხით. ყველას თვალებში იმედის შუქი ჰქონდა ჩამდგარი, იქნებ ის ყოფილიყო ის ბედნიერი, ვინც წეროვანში ბინას მიიღებდა, მაგრამ ეს სხივი მალე ჩაუქრათ, რადგან კენჭისყრის ოთახიდან ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ გაწბილებულები. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან კოტეჯები თურმე კენჭისყრამდე იყო განაწილებული და ბეჭდიანი ფურცლები უკვე ჯიბეში ედოთ „ბედნიერებს“.

იხ. 3 გვ.

**თვალსაზრისი**

# გიორგი ივანიაშვილი-ორბელიანი:
# სამწუხაროდ, ოპოზიციას არა აქვს როგორც ხელისუფლების ხელში აღების, ისე პროგრესული რეფორმების გატარების რესურსი

*ხელისუფლება-ოპოზიციის დაპირისპირების მიზეზებსა და იმაზე, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს ოპოზიციის მიერ პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბება; რას შეიძლება ველოდოთ 26 მაისამდე და მას შემდეგ, „ინტერპრესნიუსი" სოციალური კვლევისა და პოლიტიკური ანალიზის საერთაშორისო ცენტრის თავმჯდომარეს გიორგი ივანიაშვილ-ორბელიანს ესაუბრა.*



**— ბატონო გიორგი, უშედეგოდ დასრულებული მოლაპარაკებების პირველი რაუნდის შემდეგ ოპოზიციამ ხელისუფლებას ახალი მოთხოვნები წაუყენა, თავის მხრივ, მიმდინარე პოლიტიკურ ვითარებაზე შეფასებები ხელისუფლებამაც გააკეთა. როგორ შეაფასებდით ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიციებს?**

— ქართული პოლიტიკური არენა მე არაერთხელ მოვიხსენიე, როგორც სტაგნაციური კარუსელი, რომელიც თითქმის ორი ათეული წელია, ქაოსურად ტრიალებს და არანაირი პოზიტიური შედეგები არ მოაქვს. არსებული კრიზისი იმის შედეგია, რომ ხელისუფლება ვერ იკვებება ჯანსაღი პოლიტიკური რესურსით, ვინაიდან პოლიტიკურ პარტიებს არ აქვთ იდეოლოგია, სახელმწიფოებრივი განვითარების დოქტრინა, კონკურენტული ცოდნა და პროფესიონალიზმი. ქვეყანა განიცდის ფასეულობათა დევალვაციას, ინტელექტუალურ ეროზიას, ელიტების კრიზისს, რაც შესაბამისად აისახება როგორც ხელისუფლების, ისე რადიკალური თუ საპარლამენტო ოპოზიციის ფუნქციონირების ხარისხზე.

პოლიტიკური კულტურის, პროგრესული ლიდერობისა და იდეოლოგიური აზროვნების, ზნეობრივ-ეთიკური ნორმების დეფიციტის გამო ქვეყანა იმყოფება უკიდურეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ კრიზისში, რაშიც პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე მხარეს: ხელისუფლებას, რომელმაც ვერ შეძლო ვითარების გამოსწორება და ოპოზიციას, რომელიც საზოგადოებას ვერ სთავაზობს სახელმწიფოებრივი განვითარებისა თუ სისტემური რეფორმების განხორციელების ვერანაირ სამოქმედო გეგმას. სასაცილოა, როდესაც მხარეები აპელირებენ საარჩევნო სისტემის რეფორმაზე მაშინ, როდესაც პოლიტიკურ არენაზე ასარჩევი რესურსი არ ჩანს.

**— ოპოზიციამ განაცხადა, რომ 26 მაისს მმართველობის პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბებას გეგმავს. როგორ შეაფასებდით ოპოზიციის მიერ არჩეულ ბრძოლის ტაქტიკას?**

— ამ აბსურდული და უტოპიური თემის შესახებ არაფერი მსმენია და გამიჭირდება რაიმე კომენტარის გაკეთება. თუმცა, საინტერესოა, ვინ და რა რესურსით უნდა მართოს ეს სტრუქტურები. საქმე ის კი არ არის, რა განაცხადა ოპოზიციამ, არამედ იმაში, თუ რა არის მნიშვნელოვანი დღეს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისთვის.

**— პრეზიდენტის მუქარანარევი განცხადებების ფონზე, რას უნდა ველოდოთ 26 მაისამდე და მის შემდეგ?**

— მოკლევადიან პერსპექტივაში სიტუაცია საკმაოდ არაპროგნოზირებადია და ლოგიკურ გათვლებს ნაკლებად ექვემდებარება. შიდა პოლიტიკურ ორომტრიალს ემატება გარე გეოპოლიტიკური საფრთხეებიც რუსეთის მხრიდან, რაც უფრო მეტად ართულებს არსებულ ვითარებას. სახელმწიფო მმართველობის სისტემა და პოლიტიკური ინსტიტუტები ატროფირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან და ძირეულ ცვლილებებს საჭიროებენ.

სამწუხაროდ, ამჟამინდელ ოპოზიციას არა აქვს, როგორც ხელისუფლების ხელში აღების, ისე პროგრესული რეფორმების გატარების რესურსი. სამწუხაროდ, მას უჭირს ამ რეალობასთან შეგუება და ჯიუტად ცდილობს რევანშის აღებას, რასაც არა მგონია, ქვეყნისთვის რაიმე სასიკეთო შედეგები მოჰყვეს.

მე იმედებს ვამყარებ საშუალოვადიან და გრძელვადიან პერსპექტივებზე, როდესაც შეიქმნება ცოდნის კრიტიკული მასა ეკონომიკისა და მერიტოკრატიული იდეოლოგიის გარშემო. ამ იდეოლოგიის დამკვიდრება ჰაერივით სჭირდება საქართველოს.

**— არსებული სიტუაციიდან გამოსავალს რაში ხედავთ?**

— საქართველოში არსებული ხანგრძლივი პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისი აუცილებელს ხდის ქვეყანაში ისეთი ფასეულობებისა და იდეოლოგიის დამკვიდრებას, რომლებიც წარმატებული ერებისთვის დიდი ხანია, უმთავრეს პრიორიტეტებად იქცნენ. ჩვენ ხშირად გვავიწყდება, რომ გარდა არსებული პოლიტიკური კონიუნქტურისა, არსებობს საზოგადოების ჯანსაღი ინტელექტუალური ნაწილი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, რომელიც განიცდის იდეოლოგიურ შიმშილს. ამიტომაც გადაუდებელ აუცილებლობად მივიჩნევთ ისეთი ეროვნული იდეოლოგიური კონცეფციის აქტუალიზაციას, რომელიც მას რეალიზების შესაძლებლობას მისცემს.

ახალი იდეოლოგიური კონცეფცია ეყრდნობა სახელმწიფო მართვის, სტრატეგიული მართვისა და ეკონომიკური განვითარების თეორიებსა და პრაქტიკებს, რომლის რეალიზაცია ქვეყანაში მოითხოვს კრიტიკული მასის შექმნას, სოციალური კაპიტალის მშენებლობას, ჯანსაღ ლიდერობას, ეროვნულ კონსოლიდაციას, კულტურულ მოდერნიზაციას, მართვის თანამედროვე მეთოდების ათვისებას, ინოვაციურ და ტექნოლოგიურ ადაპტაციას. იგი დაფუძნებულია ცოდნის ეკონომიკის პრინციპებსა და მერიტოკრატიულ ფასეულობებზე, რაც გულისხმობს კონკურენტული ცოდნისა და ნიჭის პრიორიტეტიზაციას და სოციალური სტრატიფიკაციის სისტემაში ელიტების მუდმივ განახლებას ახალი ინტელექტუალური რესურსით.

მერიტოკრატიული მართვის მოდელი წარმოადგენს დემოკრატიული მმართველობის ევოლუციურ ფორმას და უპირისპირდება ისეთ მავნე და არაჯანსაღ ფორმებს, როგორიცაა პლუტოკრატია (პიროვნების აღიარება და კარიერული წინსვლა სიმდიდრის მიხედვით), ნეპოტიზმი (ნათესაობრივი კავშირებით), ოლიგარქია (კლასობრივი პრივილეგიით), ქრონიზმი (მეგობრული ურთიერთობებით). უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ქვეყნების უმრავლესობის პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემები დაფუძნებულია სწორედ მერიტოკრატიულ ფასეულობებზე.

**ესაუბრა
კობა ბენდელიანი**

**ჩვენი მწარე სინამდვილე**

# დევნილთა ყოფის მძიმე სურათები

**(მესამე გვერდიდან)**

გულმოკლული ჩამოვლიოდი კიბეებზე, თან ერთი გამგეობის თანამშრომელი, ახალგაზრდა გოგონა მომყვებოდა, რომელმაც ძმის მაგივრად სცადა ბედი, მაგრამ ცარიელი ფურცელი შეხვდა. ვკითხე: კი მაგრამ, შენ მაინც როგორ ვერ „ჩააწყვე" საქმე. ეს თუ ბასიშვილზეა დამოკიდებული, მას შენზე უკეთ ვინ იცნობს-მეთქი. მიპასუხა: „ნატო, ეგ ვერ ვიკადრე, აქ ყველა გაჭირვებული მოდის. ყველა რაღაცას ელოდება და მე როგორ გავბედავდი მესარგებლა ნაცნობობით. ისე, მეც ვეხმარებოდი ბადრის დეპუტატი რომ გამხდარიყო, მაგრამ თუ ასეთი უგულო გამოდგებოდა, ამას როგორ ვიფიქრებდი".

კიბეზე გამგეობის კიდევ ერთი თანამშრომელი შეგვხვდა, რომელმაც ჩემი თანმხლები ცალკე გაიხმო და დამოძღვრა, მაგრამ გოგონა მასაც არ შეეპუა და სამაგიეროდ ის მიიღო, რომ ერთ კვირაში სამსახურიდან გაათავისუფლეს. სწორედ ამ გოგონასგან გავიგე სინამდვილეში როგორ ნაწილდებოდა ბინები. კენჭისყრა, რომელიც საჯაროდ, ყველას დასანახად უნდა ჩატარებულიყო, ფარული გახადეს!

ჩემი ნაცნობი გულდამძიმებული მომიახლოვდა, როცა კენჭისყრის ოთახიდან გამოვიდა და მითხრა: არ შემხვდა, მითხრეს, სამწუხაროდ, ყველა ბინა უკვე განაწილებულიაო. მალე კარები გაიღო და იქიდან მამაკაცი გამოვარდა გახარებული და თავის ახლობლებს გადაეხვია. გოგონამ ჩუმად გაიყვანა და ჰკითხა: კი მაგრამ, როგორ შეგხვდა, როცა ყველა ბინა უკვე განაწილებული იყოო. ისიც ურცხვად მობრუნდა და უპასუხა: კარგი რა, სანამ შევიდოდი, ბეჭდიანი ფურცელი მანამდე მედო ჯიბეშიო.

უამრავ ხალხში კიდევ ერთი ნაცნობი ქალბატონიც შევნიშნე, რომელიც კუთხეში ატუზული ტიროდა. მივუახლოვდი და მიზეზი ვკითხე: ნატო, შვილო, არც მე შემხვდა, არც ჩემს შვილს და არც... ჩემს ძმისშვილსო. მისი ძმისშვილიც იქვე იდგა. მან მითხრა: ბეჭდიანი ფურცელი კი შემხვდა, მაგრამ ხელიდან გამომტაცეს და მითხრეს: ეს მომგებიანი არ არის, ამაზე „წეროვანიც" უნდა ეწეროსო...

გასარკვევია ის ფაქტი, თუ როგორ ხდება, როცა ზოგ ხუთსულიან ოჯახს ერთი კოტეჯი ხვდება, ზოგს კი — ორი და სამი. ამის გასარკვევად ბევრი კვლევა-ძიება არც დამჭირდა, პრიორიტეტს ანიჭებენ ისეთ ხალხს, ვინც გამგეობასთან არის დაახლოებული.

ქურთის გამგეობის საფინანსო განყოფილების უფროსის, ვინმე ნელი ბეგაშვილის ძმამ, ლადო ბეგაშვილმა, რომლის ოჯახი ხუთი სულისგან შედგება, ორი ბინა მიიღო წეროვანში.

დეპუტატ ბადრი ბასიშვილის ბიძამ, რომლის ოჯახიც ასევე ხუთი სულისგან შედგება, მიიღო ორი ბინა, ერთი — გორში, მეორე — დევნილთა ჩასახლების ადგილას.

გია ქრისტესიაშვილმა (ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი, მეტსახელად „პანჩო"), რომლის ოჯახი სამი სულისგან შედგება, მიიღო ორი ბინა, თვითონ — კოდაში, მშობლებმა — ტყვიავში.

რა დამსახურებით არ ვიცი, მაგრამ ჟუჟუნიაშვილების ოთხსულიანმა ოჯახმა სამი ბინა მიიღო კოდაში.

ლიახვის ხეობიდან სხვა რეგიონში გათხოვილ გოგონებს არ თვლიან დევნილად და არ აკმაყოფილებენ ბინით ან თანხით, მაგრამ ქურთის გამგებლის დავით დათაშვილის დას, რომელიც თბილისშია გათხოვილი, უარს არ ეუბნებიან და ქურთის მაცხოვრებლად ჩაწერეს, რომ ფულადი ანაზღაურება ან ბინა მიიღოს.

ასევე მოიქცა სოფელ ქსუისის რწმუნებული დ. შოშიტაშვილი. მან თავის დას, რომელიც ოცდაათი წლის წინათ გათხოვდა და თბილისში ცხოვრობს, მისცა კოტეჯი.

მსგავსი დარღვევები ძალიან ბევრია, ერთმა ხანში შესულმა ქალბატონმა ისიც კი მითხრა: გააჩნია ბასიშვილი რა თვალზე შემოგხედავს, თუ მოეწონე შეიძლება შენც არ გითხრას უარი კოტეჯზე, თუ არა და შეიძლება დედაც გაგინოს სხვისი თანდასწრებითო.

იმ მიზეზით, რომ საკომლო წიგნები ომის დროს განადგურდა, ოჯახების სიებს ხელახლა აღგენენ, მაგრამ აქ სრული ქაოსია. როგორ ყოფენ და როგორ აერთიანებენ ადრე ცალ-ცალკე კომლად დაწერილ ოჯახებს, სრულიად გაუგებარია. ქალბატონ მარინა მაისურაძეს, რომელიც დიდი ხანია ქმართან არ ცხოვრობს, იმ მიზეზით არ მისცეს ცალკე კოტეჯი, რომ მას განქორწინება არ ჰქონდა ოფიციალურად გაფორმებული. მას თავის ყოფილ მეუღლესთან ერთად მისცეს ბინა კოდაში.



შენობები, სადაც აგვისტოს ომის დროს დევნილები ცხოვრობდნენ, თანდათან აფხაზეთიდან წლების წინ დევნილმა მოსახლეობამ დაიკავა. და დაიწყო უშიშროების თანამშრომლების რეიდები. ისინი ყველა უკანონოდ შემოჭრილ დევნილს უზოდიშოდ აძევებდნენ (როგორ შეიძლება დევნილს უკანონოდ შემოჭრილი დაარქვა, როცა ისინი ასეთ მდგომარეობაში ხელისუფლებამ ჩააგდო), როცა ვიკითხე, აეხსნათ ჩემთვის, თუ რატომ თხოვდნენ ხალხს შენობის სასწრაფოდ დატოვებას, მითხრეს: ყველა დევნილს დევნილის მოწმობაში უწერია მისამართი და იქ უნდა იცხოვროს, ამ შენობაში არაფერი ესაქმებათო. ისიც კი არ აინტერესებთ, რომ ბევრისთვის ეს მისამართი ნაქირავები, დროებითი საცხოვრებლის მისამართია და წლების განმავლობაში ქირას ველარ აუდიან...

**ნატო ხოხიაშვილი,
არასამთავრობო ორგანიზაცია
„ახალი თაობა —
დემოკრატიული საქართველოსთვის".**

**SIC!**

# ლევან გაჩეჩილაძემ მეგრელებს ვაჟკაცობა დაუწუნა!..



**„სამეგრელოსა და ზუგდიდის გარეშე ჩვენ ვერაფერს გავაკეთებთ, ვერ გადავწყვეტთ მთავარ საკითხს — ვერ გადავაყენებთ მიხეილ სააკაშვილს, ამიტომაც არ დატოვოთ თბილისი და თბილისელები მარტო, შემოგვიერთდით!" — თქვა ზუგდიდში გამართულ მიტინგზე კობა დავითაშვილმა. სამეგრელოს, ზუგდიდს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება რომ შეუძლია, ამას ყოველთვის აღიარებდნენ პოლიტიკური პარტიის ლიდერები. ასე იყო ამჯერადაც, როდესაც ზუგდიდში ჩამოსულმა კობა დავითაშვილმა, თინათინ ხიდაშელმა და ლევან გაჩეჩილაძემ ხაზი გაუსვეს სამეგრელოს როლს, რომელიც ჯერჯერობით აქტიურად არ არის ჩართული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.**

**კინოთეატრ „ატრიუმის" წინ დანიშნულ მიტინგზე არ მოვიდა ის რაოდენობა მომიტინგეებისა, რამდენსაც მოელოდნენ... გავრცელებული ვერსიით აქტიურად იმუშავეს ზუგდიდის ძალოვანმა სტრუქტურებმა. ამ პასიურობამ ათქმევინა ლევან გაჩეჩილაძეს: „რა გჭირთ მეგრელებს, რისი გეშინიათ, თუ საჭირო იქნება, მე მოვალ თქვენთან და რამდენიმე დღე დავრჩები. ან მითხარით, ან დამიწერეთ, თუ როგორ უნდა დაიბრუნოთ ვაჟკაცობა, ის ძლიერი სული და შემართება, რითაც სამეგრელო და მეგრელები ყოველთვის გამოირჩეოდით. თუ თქვენ ხმას ამოიღებთ, იაქტიურებთ და შიშს დაძლევთ სააკაშვილი მეორე დღეს აღარ იქნება პრეზიდენტი". ზუგდიდელებში ლევან გაჩეჩილაძის მიმართვამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ზოგიერთები მას დაეთანხმნენ, ხოლო ბევრის აზრით კი ვაჟკაცობისკენ ხალხს რომ მოუწოდო, თვითონ უნდა იძლეოდე ვაჟკაცობის მაგალითსო, — ანუ, კაცმა, რომელმაც ვერ დაიცვა თავისი გამარჯვება არჩევნებში, ჩვენ რას გვაყვედრისო?**

**მოსახლეობას არც დღევანდელი ხელისუფლება ახატია გულზე — შუალედური პოზიცია უკავიათ და შეჰყურებენ თბილისს.**

ლადო ქირია.
ზუგდიდი

ხმა ერის გასაგონად...

# რატომ?!

რატომ? – ამ მრავალშინაარსიან სიტყვას ნებისმიერი შეამჩნევს მეტროს ვაგონებში, ავტობუსებში, ქუჩაში...

რატომ? თბილისში და არა მხოლოდ, მოქალაქეების მრავალათასიანი მიტინგების ფონზე ცდილობენ ამოცანის ამოხსნას და უშედეგოდ...

რატომ მძვინვარებს ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური, ზნეობრივი კრიზისი. ეძიებენ გამოსავალს და უშედეგოდ...

რატომ მოხდა, რომ იურიდიულად თავისუფლების მოპოვების ოცი წლის თავზე, თავისუფლება კვლავ საბრძოლველია – თავისუფლება რუსეთის იმპერიასთან მიმართებაში, თავისუფლება საზოგადოებრივ ურთიერთობებში, პიროვნული თავისუფლება მე-სთან კავშირში. პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, ზნეობრივი თავისუფლება...

რატომ ვერ მივიდა ლოგიკურ დასკვნამდე გაუთავებელი რეფორმა-რეკონსტრუქცია პოლიტიკური და სამართლებრივი მართვის, სოციალური უზრუნველყოფის, აღზრდის ხაზით. რატომაა დანგრეული, გაკოტრებული, გასაჩუქრებულ-გასხვისებული ერთ დროს ინდუსტრიული რესპუბლიკის სამრეწველო-ეკონომიკური პოტენციალი, რასაც მოჰყვა მასობრივი უმუშევრობა, პაუპერიზმი, დეგრადაცია. რატომაა მიტოვებული დამუშავებისაგან, სასპეკულიანტო გარიგებების ობიექტად ქცეული, გლეხებისათვის გადაცემული მიწის ნაკვეთები. გლეხობა ყალიბდება მათხოვარ-მუშებად და იძულებით უსაქმურებად. რატომაა დაცემული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი და მათი მატარებელი ადამიანები კვალიფიკაციადაკარგული, „ჩარეცხილ და ჩასარეცხ" კატეგორიებად დაყოფილი. რატომაა ახალი თაობა სწავლას მოცილებული, პოლიტიზებული და აგრესიული. საყოველთაო განათლების უფლება გადაქცეულია მდიდართა შვილების უფლებად. რატომ არიან ჰიპოკრატეს ფიცის დამდები ექიმები მგლებად გადაქცეული და ავადმყოფები მოკლებული მათ მზრუნველობას. რატომ იქექებიან მრავალნი სანაგვე ურნებში და არ იციან ზოგიერთებმა სად დახარჯონ ფული და გაფლანგონ უაზრო ცხოვრება...

რატომ? დიახ, ძალზე ბევრია რატომ. პასუხი?

პასუხს გვპირდებიან პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი, „ექსპერტები", პარტიები და ა.შ. ლამაზად ლაპარაკი ბევრმა ისწავლა. ისწავლეს უცხოური სიტყვების ჟღარუნი, პათეტიკური გამოსვლა, ბრძნული იერის მიღება. პასუხი? ქვეყანა აივსო იურისტებით, ეკონომისტებით... მრავალნაირი „ტებით", საქმეს კი არაფერი ეშველა.

პასუხი? გვმოძღვრავს მთავრობა, გვმოძღვრავს პარლამენტი, გვმოძღვრავენ პარტიები... გვმოძღვრავენ... შედეგი არ ჩანს.

პრეზიდენტი ბრძნული იერით საუბრობს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დაძლევაზე, სხვა სახელმწიფოთა ეკონომიკის „ჩამოშლაზე", საკუთარ წარმატებებზე და მოთმინების აუცილებლობაზე. არადა ვინ ჰკითხავს მას მსოფლიო საკითხებს? რათა დაადასტუროს, რომ საქმესაც აკეთებს, პერიოდულად ცვლის მინისტრებს. მერე რა, რომ ქართულის უცოდინარი განათლების მინისტრი გახდება. იქ თუ წარმატებით დაანგრევს სისტემას, შეიძლება უშიშროების საბჭოს მდივანიც გახდეს. თუ იქაც ასეთივე წინსვლა ექნა, ხალხის თვალს მოფარებულმა ინებივროს იმავე ხალხის ხარჯზე, რა, პრეზიდენტი საკუთარი ჯიბიდან ხომ არ აანაზღაურებს მის ხარჯებს? მერე რა, რომ საქმის უუნარო ბანკირი გახდება პრემიერ-მინისტრი. სანაცვლოდ იგი დიდი წარმატებით შეებრძოლება ეროვნულ ბანკს, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. მერე რა, რომ ერთი და იგივე პიროვნებამ ერთნაირი წარმატებით შეიძლება დღეს გენერალური პროკურორობა, ხვალ შინაგან საქმეთა მინისტრობა და ზეგ თავდაცვაც ჩაიბაროს. პრეზიდენტის გარშემო უნივერსალური ცოდნისა და შესაძლებლობების ადამიანებს რა დალევს.

პასუხის ძიებაში პრეზიდენტს და მთავრობას როგორ შეიძლება პარლამენტი ჩამორჩეს. ძიება მრავალწახნაგოვანია, დაწყებული ბრძნული მსჯელობით, ღვარძლიანი რეპლიკებით, გინებით და მუშტი-კრივით დამთავრებული. აბა, ტყუილად ხომ არ იბრძოდნენ დეპუტატობისათვის, კომიტეტებში თანამდებობისათვის, ფრაქციების შესაქმნელად და საზოგადოების „შესაბოლებლად". პასუხის ძიებისათვის ღებულობენ ძალზე დიდ (მათი აზრით, მცირეძ ხელფასებს, პრივილეგიებს, პენსიებს. მოგზაურობენ, ხალხის გულისთვის, მათ ხარჯზე და დიდი ამბავი თუ სხვებისათვის ზრუნვის პროცესში საკუთარ საქმეებს აკვარახჭინებენ. აბა, პარლამენტიდან წასვლის შემდეგ რიგითი უმუშევარივით „მაძღარნი" ხომ ვერ იქნებიან.

პასუხს ეძებენ პოლიტიკური პარტიები. ოხ, რა მრავლად არიან ისინი. რამდენიც არის პასუხის მაძიებელი, იმდენი პარტია უნდა იყოს. აბა, როგორ, სხვამ ეძიოს, ეს რითაა სხვაზე ნაკლები? ის თუ სახალხო პარტიას ქმნის, რა მოხდა, რომ მეორემ ხალხის პარტია შექმნას? თუ ქვეყნად არსებობს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რატომ არ უნდა იყოს ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტია ან თუნდაც უბრალოდ დემოკრატიული? თუ რესპუბლიკური პარტია არის, რა, მონარქისტული, ტრადიციონალისტური, კონსერვატიული ნაკლები ჟღერადობისაა? თუ არიან ახალი მემარჯვენეები, რატომ არ უნდა შექმნან ახალი მემარცხენეები? ცენტრისტები? კაცი, რომელიც მრავალ პარტიას მოივლის, რა გასაკვირია თუ საკუთარი დასის ჩამოყალიბებას მოინდომებს? რა, სხვაზე ნაკლებს შეძლებს? მოკლედ პასუხის მაძიებელ პარტიებს რა დალევს? პარტიები მრავალია, – პოზიცია ერთი: მიგვიშვით ხელისუფლებაში, შევქმნით მთავრობას და თქვენ ნახავთ... დიახ, ვნახავთ. ხალხს მდიდარი გამოცდილება დაუგროვდა.

არა. ბოლშევიკებს არ ვახსენებთ. კომუნისტ ე. შევარდნაძით დავიწყებთ. წვრილმანი ხულიგნობის წინააღმდეგ დაწყებული „ბრძოლა" მან „მიწერების" და სხვა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში გადაზარდა. 1972-73 წ. წ. ბრძოლის ტალღა აზვირთა. 1974 წლის ივნისში კი „მიწერების" უფლება ფარულად დართო „სოციალისტურ" საწარმოებს. აბა რა ექნა. მჟავანაძისდროინდელი „მანკიერებანი" ისე ამხილა, სისტემას სახელი გაუტყდა, ქრთამები გასამმაგდა და ა.შ. არადა, 1975 წლის, კომპარტიის პლენუმისათვის უნდა მოეხსენებინა რა „გარდატეხა" მოახდინა რესპუბლიკაში. „მიწერების" გარეშე წარმატებისათვის როგორ მიეღწია? სოციალისტური შრომის გმირობა როგორ მიეღო? პოლიტბიუროს როგორ დაახლოებოდა? ყველაფერთან ერთად ჰეიდარ ალიევს ხომ ვერ ჩამორჩებოდა? დიახ, დიდი გაქანების იყო ე. შევარდნაძე და ბევრსაც მიაღწია. ეს მისი დამსახურებაა 1990 წლის ოქტომბერში „მრგვალი მაგიდის" იაკობინური ძალების უმტკივნეულო მოსვლა ხელისუფლების სათავეში. მისი კარნახით დეპუტატობის კომუნისტმა კანდიდატებმა არჩევნების წინ მასობრივად მოხსნეს კანდიდატურები. მისი კარნახით მოსულ გამოუცდელ დეპუტატებს კი ეს საკუთარ დამსახურებად მიაჩნდათ. „იაკობინური" სტილის მებრძოლები, წესისამებრ, დიდხანს ვერ ძლებენ, ძირითადად ძველი წყობის დამანგრეველ ფუნქციას ასრულებენ და ასპარეზსაც სტოვებენ, სამწუხაროდ, არა მხოლოდ პოლიტიკურად. ქართველ იაკობინელთა მოშორების პატივიც ე. შევარდნაძეს ეკუთვნის. დიდი ხანია აშკარა გახდა, რისთვისაც და რის ფასად დაეხმარა რუსეთი და პრეზიდენტი ელცინი საქართველოში დაბრუნების საქმეში.

საფერშლო განათლების ორი გენიოსი ქართველი გვყავდა საამაყოდ: ს. ორჯონიკიძე და ე. შევარდნაძე. კვალიც შესაბამისია. მისი ხელისუფლებაში მეორედ მოსვლის შემდეგ რა არ მოხდა ქვეყანაში, რა არ „გარდაიქმნა", რა კომისიები არ შეიქმნა, რა რეფორმა არ გატარდა... სიტყვით. ყველაზე „ეფექტიანი" მაინც სასამართლო რეფორმა გამოდგა. აკი ამიტომაც ვერ ელევიან და დღესაც აგრძელებენ უდღეურ გარდაქმნებს. ყველაზე მძიმე დარტყმა ეკონომიკას მიაყენეს. ძვირფასი ქარხანა-ფაბრიკები გააკოტრეს, თითქმის უფასოდ მიისაკუთრეს, ნაწილიც ჯართად აქციეს და საზღვარგარეთ გაზიდეს. გამართლდა კ. მარქსის ნათქვამი: კაპიტალის თავდაპირველი დაგროვება უპატიოსნოთა მიერ უპატიოსნო მეთოდებით უნდა მოხდესო. აბა, როგორ გინდათ. პატიოსანი შრომით ოჯახს ვერ გამოკვებავ, არათუ მილიონები დააგროვო. მაგრამ თუ შანსი გაქვს 3000 კუპონად ელექტროსადგური შეიძინო და იქვე 600000 დოლარად გაყიდო, რა, კაპიტალს ვერ დააგროვებ? არანაკლები მზრუნველობა გამოიჩინეს გლეხობის მიმართ. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გაანიავეს, მეურნეობები დაშალეს და გლეხებს თითო ჰექტარი მიწა სატყუარად მისცეს, ბარით და თოხით დაამუშავე, შენც შიგ ჩაკვდი და შენი... ცაო. დიახ, ჩამოთვლა რა საჭიროა, არ დარჩა ცხოვრების სფერო, მოღვაწეობის დარგი, რომელსაც ფასი არ დაედო. არადა, თუ ყველაფერს (ჰაერის, წყლის, ტყის და ა.შ. ჩათვლითძ დიდ ფასს არ დაადებდნენ, ისე ძვირფასი ცხოვრება როგორ შეიქმნებოდა?

ჩვენ ამ ყოფას ინდუსტრიულს, ევრო-




პულს, კაპიტალისტურს ვუწოდებთ იმ იდეალური სოციალისტურის საპირისპიროდ, რომელიც წარმატებით დავანგრიეთ. ზოგი „ბრძენი" ამას ერთი წყობილების (სოციალისტურისძ მეორეთი (კაპიტალისტურითძ შეცვლას უწოდებს. გაუგიათ მათ რას ნიშნავს სოციალიზმი? უნახავს ვინმეს ცხოვრებაში სოციალიზმი? მხედველობაში არ გვყავს ცალკეული ინდივიდები, რომლებიც სოციალიზმსაც იწყობდნენ და კომუნიზმსაც.

სოციალიზმი საბჭოთა კავშირში არც ყოფილა და ვერც იქნებოდა. კ. მარქსის მიხედვით სოციალიზმი შეიძლება დამკვიდრდეს როცა კაპიტალიზმი ამოიჭამს განვითარების შესაძლებლობას. ასეთი საფეხურისთვის ჯერ არც აშშ-ს, არც იაპონიას და არც ევროპას არ მიუღწევია. შეძლებდა ფეოდალური, ბნელი რუსეთი სოციალიზმის დამკვიდრებას? ვერც შეძლო. ის, რასაც თავს გვახვევდნენ, იყო სახელმწიფო კაპიტალიზმი. ვაი, რომ რუსეთში სახელმწიფო კაპიტალიზმის პირობებიც არ არსებობდა. ამიტომ დიდი სისხლის ფასად და ევროპის ძარცვის შედეგად მოხერხდა თავისუფალი კონკურენციის პერიოდისათვის დამახასიათებელი ეკონომიკის შექმნა, სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემით და რუსული გლეხური სოციალიზმის თეორიით. ვამბობდით ერთს, ვაკეთებდით მეორეს და შედეგად ვღებულობდით მესამეს. ეკონომიკური განვითარების ინტერესები ჯანყდებოდა და შესაძლებლობის შესაბამისი ურთიერთობის დამყარებას მოითხოვდა. კაპიტალისტური ურთიერთობის დამყარებას მოითხოვდა. ეს გადასვლა კაპიტალის თავდაპირველი დაგროვების დამახასიათებელ მოვლენებს უკავშირდება. და ასეც მოხდა – ვინც რა შეძლო და რა მეთოდით თუ ფორმით, ე. შევარდნაძის მეორედ მოსვლის დროს მიიღო.

მ. სააკაშვილის თაობას ეროვნული სიმდიდრის განაწილება-დაყაჩაღების დროს დააგვიანდა, რა უნდა ექნათ? სულზე მოუსწრო მოქალაქეთა კავშირის შექმნამ – ავანტიურისტები, ავაზაკები და ე.წ. კომუნისტები მასობრივად ეცნენ ახალ სატყუარას. პარტია – აი, ყველაზე უფრო მომგებიანი საქმე. დღეს უამრავი პარტია იქმნება არა იდეურ, არამედ თანამდებობის მოპოვების, პარლამენტში შესვლის, ძალაუფლების მოპოვების სურვილით. ვისაც აქვს პოლიტიკური ძალაუფლება, მას შეუძლია განაწილებული კაპიტალის გადანაწილებაში მონაწილეობის მიღება. აბა, საიდან იშოვეს ათეულობით მილიონები სააკაშვილის თანამებრძოლებმა? ან რატომ ებღაუჭებიან თანამდებობებს? რა, ხალხის ინტერესებისათვის იკლავენ თავს? ეშინიათ გადანაწილებული კაპიტალის ხელახლა გადანაწილებისა. თანამდებობის დაკარგვა დაგროვილი კაპიტალის დაკარგვის ტოლფასია. აი, რატომ იბრძვიან გააფთრებით. მაგრამ ეს პასუხი არ ამოწურავს ყოველ „რატომ"-ს. ყოველ შემთხვევაში, ხალხის ძირითად ინტერესებს. მათ კითხვებს.

რა არის საჭირო, რომ საყოველთაო „რატომ"-ებს გაეცეს საჭირო პასუხი. ამის შესახებ მსჯელობა ვრცლად მიმდინარეობს. ნუთუ ასეთი რთულია პასუხის მიგნება?

ყოველ პარტიაში მრავლად არიან იურისტები და ეკონომისტები. პიროვნებები, რომელთაც უნდა ესწავლათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიები. ეტყობა ან არ უსწავლიათ, ან არ სურთ სიმართლის აღიარება. სანაცვლოდ ფართოდ ითრევენ მასებს მსჯელობაში მეორეხარისხოვან პრობლემათა შესახებ. არის დაპირისპირება. ერთნი ყოველგვარი „რატომ"-ის საფუძველს ქვეყნის საპრეზიდენტო მმართველობაში ხედავენ. მეორენი საპრეზიდენტო მმართველობას საპარლამენტოს უპირისპირებენ. მესამენი პასუხს მონარქიის აღდგენაში პოულობენ. პასუხს ეძებენ და პოულობენ ყველგან, გარდა პასუხისა.

ეგებ მართლა რთულია პასუხის მიგნება?

ჩვენს სახელოვან იურისტებს მოეხსენებათ სახელმწიფოთა ტიპებისა და ფორმების შესახებ. ისიც მოეხსენებათ, რომ განმსაზღვრელია ტიპი და არა ფორმა. რესპუბლიკური იყო გერმანია და მონარქისტული იტალია, მაგრამ ორივე ფაშისტური. რუსული გლეხური სოციალიზმის პრინციპების ერთგული იყო ბოლშევიკი (კომუნისტიძ ვ. ლენინი, მაგრამ სწორედ მისმა პარტიამ უბიძგა ფაშიზმს. ჩამოთვლა რა ბედენაა, მთავარია დასკვნა: სახელმწიფოებრივი მართვის ფორმა, ფორმათა ცვლილება საკითხის გადაწყვეტას არ იძლევა და არაა ამომწურავი პასუხი კითხვაზე – რატომ?

პასუხი სახელმწიფო სისტემის აგების პრინციპში იმალება. პრინციპი, დღევანდლამდე მაინც ორია: ბიუროკრატიული და დემოკრატიული. ისტორიას რომ შევეშვათ, დღევანდელი მსოფლიო სხვა პრინციპს არ იცნობს.

დღეს მოქმედი ბიუროკრატიული პრინციპი გულისხმობს – საჯარო ხელისუფლების დაყოფას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ნაწილებად. აქედან: საკანონმდებლო ნაწილში დაშვებულია არჩევის უფლება. ამ ხაზით მოსახლეობას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს არჩევნების კომედიაში, გაითამაშოს თავისუფლება, დემოკრატია და განსაზღვროს (ზოგჯერ მაინცძ, უახლოესი 4-5-7 წლის მანძილზე ვინ იქნება მისი მძარცველი. მძარცველი, რადგან დეპუტატს ეძლევა ძალზე მაღალი ანაზღაურება, პრივილეგიები და ექმნება გამდიდრების საშუალება. ეს რომ ასე არ იყოს, ქვეყანა ვერ მიიღებს მთავრობისადმი სასურველ პარლამენტს. მეორე, აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილში არჩევითობის წესი გამორიცხულია. აქ დამკვიდრებულია ზევიდან ქვევით დანიშვნის წესი. ჰოდა, ვის დაემორჩილება ნებისმიერი თანამდებობის პირი თუ თანამდებობა მისი სიმდიდრის წყაროა? აქ ადამიანები ხელფასსა და პრივილეგიებს ღებულობენ თანამდებობის მიხედვით. აბა რომელი თანამდებობის პირი გადაუვა ხელმძღვანელის მითითებებს? ხალხი მას არ ანაღვლებს, ოღონდ უფროსი ჰყავდეს კმაყოფილი.

ამგვარად სახელმწიფო სისტემის აგების ბიუროკრატიული პრინციპი სრულად უზრუნველყოფს იერარქიულ პოლიტიკურ ერთგულებას ეკონომიკური პრივილეგიების სანაცვლოდ. პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები განაპირობებენ ბრძოლას თანამდებობისათვის.

რით განსხვავდება მისგან სახელმწიფოს აგების დემოკრატიული პრინციპი?

არჩევითობის წესის მოქმედებით საჯარო ხელისუფლების, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ნაწილში. არ უნდა იყოს სახელმწიფოში თანამდებობა, რომელიც არჩევითი არ იქნება;

მოქალაქეთა უფლებით, აღძრან სარჩელი ნებისმიერი თანამდებობის პირის წინააღმდეგ რიგითი სასამართლოს მეშვეობით;

საჯარო ხელისუფლების სფეროში ხელფასების მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის მცირე ზღვარის დაწესებით (1:3; 1:5ძ;

წარმომადგენლობისათვის (დეპუტატებისათვისძ თანხების გაცემის აკრძალვით ან მიღებული თანაფარდობის დაწესებით;

ყოველგვარი პრივილეგიების აკრძალვით თანამდებობის პირებისა თუ წარმომადგენელთათვის.

რთულია გასაგებად? არა. ძნელია განსახორციელებლად, რადგან ეს ხელს არ აძლევს უკვე პოლიტიკურად და ეკონომიკურად პრივილეგირებულებს და არც იმათ, ვინც მისთვის იბრძვიან. მაგრამ, ხომ არის პასუხი კითხვაზე – რატომ?

ჰოდა, რატომ და იმიტომ... რომ ნებისმიერი ქვეყნის და მათ შორის საქართველოს მოსახლეობა სამ ნაწილად იყოფა. ერთი უმცირესი ფლობს პოლიტიკურ ძალაუფლებას, ეკონომიკურ სიმაღლეებს და იბრძვის მისი შენარჩუნებისათვის ნებისმიერი მეთოდით; მეორე – მცირე ნაწილი, ე.წ. ოპოზიცია იბრძვის პოლიტიკური ძალაუფლებისათვის და შესაბამისად, ეკონომიკური შესაძლებლობების გადანაწილებისათვის. მესამე, ხალხის უმრავლესობაა. იგი ნელა აზროვნებს და ძნელად იღებს გადაწყვეტილებას, რომელ მებრძოლ ნაწილს მიემხროს. იმის მიხედვით ხელისუფლება შეძლებს უმრავლესობის მიმხრობას თუ მებრძოლი ოპოზიცია, დამოკიდებულია განვითარების ხასიათი.

ხალხის უმრავლესობის მიმხრობას კონკრეტული ღონისძიებების პროგრამა სჭირდება. ვთქვათ ასეთი:

გამარჯვების შემთხვევაში გავატარებ არჩევითობის პრინციპს ქვევიდან ზევით. ქვეყანაში არ იქნება არა არჩევითი თანამდებობა;

არც ერთ თანამდებობის პირს არ ექნება კვალიფიციურ მუშაკებზე მეტი ხელფასი;

სახელმწიფო სექტორში და არა კერძო კაპიტალის მოქმედების სფეროშიძ ხელფასის მინიმუმსა და მაქსიმუმს შორის დაწესდება შეფარდება 1:5 როგორც ბელგიაშია;

დეპუტატების ხელფასები განისაზღვრება საშუალო მუშაკის ხელფასით;

მოისპობა ყოველგვარი პრივილეგია თანამდებობისათვის – აგარაკები, მანქანები, მომსახურება, მოგზაურობა ბიუჯეტის ხარჯზე და ა.შ.;

ქვეყანაში საპენსიო მინიმუმი სახელფასო მინიმუმით განისაზღვრება.

თუ პრეზიდენტი, მთავრობა, პარლამენტი ხალხის მსახურია, არ შეიძლება მსახური ბატონზე უკეთეს პირობებში ცხოვრობდეს ამავე ხალხის ხარჯზე.

ეს მოკლე პროგრამა აკმაყოფილებს უმრავლესობის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს მათ მხარდაჭერას.

**ალექსანდრე ახატნელი,**
**იულონ ტოლიაშვილი**

◎ დისკუსია

# ორი შეკითხვა გიორგი სააკაძის თანამედროვე დილეტანტ ბრალმდებლებს



*როცა ურჯულო კახელების ბრბომ... სამაგიერო მიიღო აჯანყების განზრახვისათვის და საზღაური თავის სიავისათვის, დალუპულმა, ბედუკულმართმა მოურავმა, რომელიც მხოლოდ დროისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს და ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე, ქართლელებს... ტყუილი სიტყვებით და ფუჭი და შემაცდენელი წინადადებებით ერთგულების ფართო გზას გადაახვევინა.*

ისქანდერ მუნში

ალბათ ძნელად მოიძებნება იმაზე „დიდებული კომპლიმენტი“, რომელიც ირანელმა ისტორიკოსმა უძღვნა ლეგენდარულ ქართველ გმირს გიორგი სააკაძეს. „მხოლოდ დროისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს და ხელი არ აუღია ქრისტიანობის რჯულზეო“, არადა სააკაძის თანამედროვე ბრალმდებლები, რომლებიც ისევ გამოჩდნენ ქართული პრესის ფურცლებზე, კვლავაც დიდ დანაშაულად უთვლიან დიდ მოურავს რჯულის ორჯერ გამოცვლას, სხვა ქვეყნებში გადახვეწას და სამსახურს, ბაზალეთის ომს და ა.შ.

ყველა ამ კითხვაზე კომპეტენტური პასუხები უკვე არსებობს. ქართველმა მეცნიერებმა, ისტორიკოსებმა, მწერლებმა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს დიდ მოურავს. გავიხსენოთ პროფესორ გივი ჯამბურიას ცნობილი მონოგრაფია „გიორგი სააკაძე“, ჯანსუღ ღვინჯილიას „გიორგი სააკაძის პიროვნება“, ლევან სანიკიძის „გიორგი სააკაძე“, თამაზ ნატროშვილის ცნობილი წერილები: „ესე საქმე მოურავმა“, „მარაბდა“, „ორი მოურავი“, პროფესორ დევი კაჭარავას ნაშრომები გიორგი სააკაძეზე. გიორგი სააკაძე ერთმნიშვნელოვნად დადებითად შეაფასეს ქართული ისტორიოგრაფიის უდიდესმა ავტორიტეტებმა ნიკო ბერძენიშვილმა და ვალერიან გაბაშვილმა. სულ ახლახან გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გურამ გოგიაშვილმა დამაჯერებელი პასუხი გასცა გაზეთ „ასავალ-დასავალის“ 16-22 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ გიორგი ანდრიაძის ინტერვიუს. რა უნდა ითქვას მეტი? ერთი შეხედვით არაფერი. ბატონ გურამ გოგიაშვილისა არ იყოს, მადლობა ღმერთს, რომ „შუმ დილეტანტიზმს“ მართლაც არა აქვს ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი გასაქანი, მაგრამ, როგორც ჩანს, „თანამედროვე შადიმანები“ (ჩვენ აქ ვგულისხმობთ მხოლოდ გიორგი სააკაძისადმი დამოკიდებულებასძ პროფესიონალთა ნაშრომებს არ კითხულობენ. არც სჭირდებათ. იმიტომ რომ სააკაძის თანამედროვე ბრალმდებელი შემეცნება სულ სხვა წყაროდან იკვებება.

ამ პრობლემას მიეძღვნა ჩემი ნაშრომი „სნობისტური ცნობიერების უკანასკნელი შეტევა დიდ მოურავზე“, რომელიც გამოქვეყნდა 2006 წელს, სადაც ვწერდი, რომ სააკაძეზე თავდასხმის თანამედროვე წყაროდ გვევლინება პოსტსაბჭოთა მენტალიტეტის მეორე უკიდურესობა — პროვინციული სნობიზმი. სნობი (ინგ.ძ უცხო სიტყვათა ლექსიკონში ასეა განმარტებული: „ადამიანი, რომელიც ცდილობს ზუსტად დაიცვას მოდა და ე.წ. კარგი ტონის წესები; პირი, რომელსაც დახვეწილი გემოვნების, მანერების და ა.შ, პრეტენზია აქვს და ამით მოაქვს თავი, ქედმაღლობს“. სნობიზმი ქართული მოვლენა არ არის (იგი ინგლისური მოვლენაა — სნობი არალონდონელს ნიშნავდაძ და ისტორიული განვითარების სხვადასხვა (განსაკუთრებით გარდამავალძ ეტაპებზე ამა თუ იმ ზომით ყველა ერს ახასიათებდა, მაგრამ მსოფლიო ისტორიაში ძნელად წავაწყდებით მის ისეთ ობიექტივაცია-ნატურალიზაციას, როგორსაც საქართველოში. ამას თავისი მიზეზები აქვს და მასზე აქ არ შევჩერდები, მაგრამ ის, რომ სნობისტური ცნობიერება არის ეპოქის სენი, ავადმყოფობა და მისგან განკურნება აუცილებელია, სადავო არ უნდა იყოს.

შემეცნება, რომელიც გიორგი სააკაძის განსაკუთრებულ როლსა და ადგილს საქართველოს ისტორიაში იოსებ სტალინს უკავშირებს, არის აბსოლუტურად დილეტანტური, იდეოლოგიზებული, პროვინციულ-სნობისტური ცნობიერების „კლასიკური“ ნიმუში. სტალინს, საბჭოთა რეჟიმს, რუსეთის იმპერიას უნდა ვებრძოლოთ სააკაძით; სააკაძე სტალინმა წამოსწია, ხოლო რაც სტალინმა, საბჭოთა რეჟიმმა „გააფეტიშა“ — ყველაფერი განურჩევლად ნაგავზე! ასეთია თანამედროვე მოდა-ყაიდა, ასეთია სნობიზმის დიალექტიკა. მოკლედ, უვიცი პროვინციულ-სნობისტური შემეცნება სააკაძეს ჩვეულებრივ ფეოდალად მიიჩნევს, ხოლო მისი როლის გაზვიადებას სტალინს მიაწერს. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. როდესაც ამას არაისტორიკოსი ამბობს, კიდევ შეიძლება გასაგები იყოს, მაგრამ ისტორიკოსი, რომელიც ითყვის, რომ სააკაძე სტალინმა წამოსწია, თორემ ჩვეულებრივი ამბიციური პიროვნება იყოო, მას უბრალოდ არ შეიძლება ეწოდოს ისტორიკოსი, თუნდაც იმიტომ, რომ ესაა აბსოლუტური ჩაუხედაობა ისტორიის ელემენტარულ ფილოსოფიაში.

მაგრამ მოდით ახლა ამას თავი დავანებოთ. სად იყო საბჭოთა რეჟიმისა და სტალინის ხსენება, როცა ქართველი ერის წიაღში, მის გენეტიკურ კოდში იშვა მარადიული ფენომენი — „დიდი მოურავი“. ამგვარი ეპითეტით ქართველმა ხალმა, მხოლოდ რამდენიმე გმირი შეამკო: დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, დემეტრე თავდადებული, სიმონ დიდი და ა.შ. ამით ქართველმა ერმა სამუდამოდ უკვდავყო თავისი საამაყო შვილის სახელი. სად იყო სტალინი, როცა ვაჟა-ფშაველა შესანიშნავ ლექსს უძღვნიდა დიდ მოურავს. მართალია სიფრთხილით, მაგრამ აშკარა სიმპათიით წერდნენ გიორგი სააკაძეზე ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. სად იყო სტალინი, ჩეკა და მისი იდეოლოგიური მესვეურები, როცა მეფე-პოეტმა არჩილმა შთამომავლობას მიმართა: „აწ ეს ჰქენით, ქართველებო, ანდერძივით შვილს ეტყოდეთ“ (სააკაძის საგმირო საქმეებსოძ. სწორედ არჩილ მეფის დავალებით დაწერა იოსებ ტფილელმა პოემა „დიდმოურავიანი“, სადაც აღწერილია სააკაძის დაუცხრომელი ცხოვრება და მოღვაწეობა. მაგრამ ასე უნდათ და რა ქნან. სტალინზე უნდა იყოს სააკაძე მიბმული. ესაა სასურველის სინამდვილედ გასაღება, რომელსაც არაფერი აქვს საერთო საქმის ჭეშმარიტ არსთან.

სააკაძეზე, ცხადია, ბრალმდებელი წყაროებიც არსებობს. ამას არ უარვყოფ. ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსი, სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი, ევროპელი მისიონერები არქანჯელო ლამბერტი, ბართლომეო ფერო, ამბროსიო დუშ ანჟუში გვაწვდიან ინფორმაციებს, სადაც სააკაძის „საჩოთირო“ საქმეებია აღწერილი. კერძოდ ის რომ, გიორგი სააკაძე ძალაუფლების ხელში ჩაგდებისთვის იბრძოდა, როგორც შურისმაძიებელი (თავის დროზე ის ხომ უსამართლოდ განდევნეს საქართველოდანძ, რომ შაჰ-აბას I-ს „აზრახებდა“ დაეპყრო ქართლი, შემოუძღვა შაჰს და დაარბია კახეთი და ა.შ. სწორედ ამ წყაროებმა შექმნა უცნაური ისტორიული ანტინომია დიდ მოურავზე. მაგრამ არათუ პროფესიონალი ისტორიკოსი, ოდნავ დაკვირვებული თვალიც მიხვდება, რომ გიორგი სააკაძეზე უარყოფითი ინფორმაციები გავრცელებულია დიდი მოურავის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიერ. ეს დაახლოებით არის იმგვარი წყაროები, რომელიც მეტ-ნაკლებად ცნობილი ყველა პოლიტიკოსისა და მოღვაწის შესახებ არსებობს მთელი საქართველოს ისტორიის მანძილზე. უფრო მეტიც, ყველაზე ცნობილ და დიდ ქართველებსაც შეიძლება ამგვარი დილეტანტური „კვლევით“ აღმოვუჩინოთ ნაკლი.

იხ. 9 გვ.

◎ ხუმარსიტყვა

ზღაპარი დიდებისთვის

***ჯერ კიდევ გათენებული არ იყო, წითელქუდამ სავსე კალათას ხელი რომ წამოავლო და სოფლის გზას დაადგა. გზას ვამბობ, თორემ ისეთი ანგრეულ-დანგრეული, ორმოებად და თხრილებად იყო ქცეული, რომ ეშმაკიც ფეხს მოიტეხდა. ამიტომ ამჯობინა წითელქუდამ ტყე-ტყე, ბილიკ-ბილიკ სიარული. გრილოდა, არც კალათა იყო მძიმე, და წითელქუდა კი არ მიდიოდა, მიქროდა. მოდაზე ეცვა წითელქუდას. მუხლებგამოხეული ჯინსის შარვალი, ასევე იდაყვებგამოხეული კურტაკი, წითელი ფერის კედები და, რა თქმა უნდა, წითელი ქუდი. ის-ის იყო დაბურულ ტყეში შევიდა და საკმაოდ დაბერებული, კბილებჩამპალი მგელიც „გაეჩითა“. წითელქუდა შეკრთა, დაკივლება დააპირა, მაგრამ მგელმა უკბილო პირი დააღო და უთხრა: — „არ იკივლო, წითელქუდა, მე იმ ასაკში ვარ, რომ აღარც ადამიანისთვის ვარ საშიში და აღარც სახელმწიფოსთვისო“. — კი, მაგრამ შენ რანაირი მგელი ხარ, ასე გამართული ქართულით რომ მელაპარაკებიო, — მიუგო წითელქუდამ.***

# წითელქუდა

## 16 კილოგრამამდე ბავშვებისთვის წაკითხვა აკრძალულია



— ეს ხომ ზღაპარია, შე გამოშტერებულო, ზღაპარი! ზღაპარში მგლებიც ლაპარაკობენ და ცხვრებიც, თქვა მგელმა, და ნერწყვმა პირსგარეთ გამოჟონა. — ცხვარზე გამახსენდა, რა კარგი იყო კომუნისტების დრო, კვირა არ გავიდოდა, რომ 1-2 ცხვარი არ შეგვეჭამა მე და ჩემი ოჯახის წევრებს. თურმე ჩვენ რომ ერთ ცხვარს შევჭამდით, ფერმის გამგე ათს ჩამოწერდა, საიდანაც 9 თავისი იყო. ასე შეაგროვა ერთი ფარა ცხვარი და ვიღაც მეცხვარეზე გააფორმა. ეჰ, გახსენებაც არ მინდა, იმდენ სისაძაგლეს სჩადიოდნენ ადამიანები, თავიანთ დანაშაულს ვიღას არ აბრალებდნენ. ქორს რომ ერთი წიწილა მოეტაცა, ნახევარი ფერმის ქათმებს ჩამოსწერდნენ. ეგეთმა სინდისგარეცხილმა ადამიანებმა დააქციეს ქვეყანა, თორემ იმ ნაძრახი კომუნისტების დროს, ადამიანებსაც ჰქონდათ საჭმელ-სასმელი და ცხოველებსაც.

— კი, მაგრამ, ამდენი ისტორია საიდან იცი, შენ მგელი ხარ, თუ კაცი? — ჰკითხა წითელქუდამ.

— ჯერ შენ მითხარი რამდენი წლისა ხარ, სად მიდიხარ, რა მიგაქვს და მერე გეტყვი ჩემსას.

— თექვსმეტისა ვსრულდები ამ თვის ბოლოს.

— მერე, არა გრცხვენია, სიგარეტს სიგარეტზე რომ ეწევი და ჭიპიც რომ გამოგიჭყეტია?

— რა ვქნა? — მოდაშია.

— მოდას რომ ბოზები იგონებენ ეგ არ იცი, ამხელა გოგომ?

— როგორ?!

— როგორ და როგორც გესმით! სექსუალურად თავაწყვეტილი ძუკნები ყველაფერს აკეთებენ იმისთვის,რომ ხვადებს თავი მოაწონონ. სხვათა შორის, მეც ბოზის შვილი ვარ, დედაჩემი გერმანული ნაგაზი იყო, ტყეში მოწანწალე უნახავს მამაჩემს მგელიკას და ისე გაუბრუებია შამპუნის სუნს, რომ გვერდიდან აღარ მოსცილებია, შედეგად მე და ჩემი და-ძმა გავჩენილივართ. ისე რომ მე მგელი კი არა, მგელ-ძაღლა ვარ.

— უიმე! უიმე! მგელ-ძაღლაზე თქვეს, რომ ძალიან აგრესიული და ხარბიაო — ხომ არ შემჭამ?

— რას ამბობ გოგო? ბავშვი კი არა, ჩემს ახალგაზრდობაში ბატკანსაც არ ვეკარებოდი — მეცოდებოდა და ამ სიბერეში, მით უმეტეს, ჩემი კბილების პატრონი, შენ შეგჭამ? კაციჭამიები, ხარბები და ნაძირალები თქვენკენ მოიკითხე, რომ გაძარცვეს ბანკები, ხაზინები, მაღაზიები და ფაბრიკა-ქარხნები ადამიანებმა! ის ვინ იყო, ბანკებში ფულები რომ შეატანინა ხალხს, ვითომ გასაორმაგებლად, მგელი?! — ხალხი უპურისფულოდ, უწამლოდ და უექიმოდ რომ დატოვეს — გაქურდეს, გააბოზეს, გაანარკომანეს, გაალოთეს და გააპედერასტეს — მგლებმა ქნეს ეს არაჰუმანური საქციელი?! — ადამიანებს ხმა არ ამოეღებათ ცხოველების მიმართ ავად. ერთი შემთხვევა იყო, მშიერმა მგელმა თავიანთი მოძმე „ტოტია“ რომ შეჭამეს და ისიც საქვეყნოდ გახადა იმ ცხონებულმა ვაჟა-ფშაველამ. მას შემდეგ რამდენი ადამიანის ხორცი აქვთ შეჭმული კანიბლებს, ალაჰმა უწყის. თანაც ადამიანს ისე არასოდეს უჭირს, რომ ეს ჩაიდინოს.

— კაი, კაი, ნამეტანი ნუ გაუბერე, თორემ აღარც ბებიაჩემს მივუტან ამ ხაჭაპურებს და მაწონს, ისე ბინძურად დამიხატე ადამიანი.

— ხა! ხა! ხა! ხა! — გადაიხარხარა მგელმა — ქალაქიდან რომ სოფელში მაწონს და ხაჭაპურს წაიღებს ადამიანი, მაშინ არის ქართველების საქმე ცუდად. მახსოვს ღამ-ღამობით სოფლის შემოგარენში რომ დავწანწალებდით, მთელ-მთელი ხაჭაპურები, ხაშლამა, გოჭი, ინდაური და ქათამი ეყარა სანაგვეზე. იმას რა დამავიწყებს, მაშინ დასავლეთ საქართველოში — გურიაში ვცხოვრობდით მე და ჩემი შვილსულიანი ოჯახი, კალისტრო გობრონიძის ოჯახში ათასკაციანი ქორწილი გადაიხადეს. ათასი კი დაპატიჟეს, მაგრამ ექვსასიც არ მივიდა. ზაფხული იყო და გაუფუჭდათ პურმარილი, სოფლის განაპირას ერთი დიდი ხევი გავსებული იყო ნაირ-ნაირი საჭმლით. ორი კვირა ვჭამდით მგლების მთელი ხროვა და ძლივს დავამთავრეთ. სხვათა შორის, უყაირათობამ დაღუპა საათივით აწყობილი საბჭოთა კავშირი.

— შენ რანაირი მგელი ხარ, — საბჭოთა კავშირი საიდანღა იცი?

— გოგო, შეიგნე და დაიჯერე, რომ ეს ზღაპარია, ზღაპარი!

— შენ რა გქვია სახელი, მგელიკა?

— არა, დედაჩემის პატივისცემის მიზნით, მამაჩემმა ძაღლიკა დამარქვა და ძალიან გულდაწყვეტილი ვარ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დედაჩემი იმდენად ზნედაცემული ძუკნა იყო, რაც ტყეში მოწანწალე მამალი მგელი იყო, ყველას მიუშვირა და გაავსო იქაურობა უჯიშო მგლებით, მერე დაჰკრა ფეხი და ისევ ქალაქში გაიქცა. იქედან ამბავი ჩამოიტანეს, რომ გლდანის სანაგვეზე ბირჟაობს მაწანწალა ძაღლებთანო. მოკლედ თავი აღარ გამოგვეყოფება ბუნაგიდან.

წითელქუდა, ბებიაშენი ის ხომ არ არის, სოფლის ბოლოში, „ცხენიჭამია ხევის“ ნაპირზე რომ უდგას ნახევრად დანგრეული სახლი?

— შენ საიდან იცი, — იცნობ ბებიაჩემს?

— იმას ვინ არ იცნობს? ამას წინათ, ჩვენი ბუნაგის მახლობლად მცხოვრები ცოლ-ქმარი მგლები შესაჭმელად მივიდნენ და გადაიფიქრეს შეჭმა. ცარიელი ძვალი, ტყავი და კაბაა, შესაჭმად არ ღირსო. მართლაც აგრეა, ხელი თუ არ შეუწყვეთ, მოკვდება ის საცოდავი და სოფელში ორი მოსახლეღა დარჩება — შაქარაანთ კოლა თავისი დედაბრით და კაკალაანთ თებრო, თავისი დაქვრივებული რძლით. ის ხომ სოფელი აღარ არის, კარგამოკეტილი, სახურავჩანგრეული, ფანჯრებჩალეწილი სახლები მღრღნელებისა და კაჭკაჭების საბუდრებად არის ქცეული. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მთელი არსებობის მანძილზე არც სასმელი და არც სარწყავი წყალი ჰქონდა საკმარისი, მაინც ჰყვაოდა იქაურობა. სხვათა შორის, მაშინ ჩვენი წილი საკვებიც იშოვებოდა იქ.

წითელქუდა, ერთი სათხოვარი მაქვს, ქალაქში რომ ჩახვალ, ბუნების დაცვის კომიტეტში მიდი და ჩემზე უთხარი ერთი საშინელი, კაციჭამია მგელი დადის სოფელში და იქაურობას აწიოკებსთქო, იქნებ დამიჭირონ და ზოოპარკში მომათავსონ, იქ სალაფავს მაინც მაჭმევენ, ვერც სოფელსოფელ წანწალით გავიძლე კუჭი და ვერც ქალაქის სანაგვეებში ვშოულობ ვერაფერს — იქაც ადამიანები იქექებიან და საჩემოს არაფერს არ ტოვებენ. არ დაგავიწყდეს, გეხვეწები.

წითელქუდას თვალზე ცრემლი მოადგა. ჯირკვზე ჩამოჯდა, მგელსაც უთხრა ჩამოჯექი, დაისვენეო. მერე კალათას თავი მოხსნა, ერთი ხაჭაპური და ერთი ქილა მაწონი ამოიღო, ბუერას უშველებელ ფოთოლზე დაასხა, შიგ ხაჭაპური ჩააბუჟბუჟა და მგელს ახლოს მიუწია — მიირთვიო. მგელს თავპატიჟი არ გამოუდია, თვალის დახამხამებაში ჯერ ფოთოლი მოლოკა, მერე წითელქუდას გაულოკა ხელები, სახე და ტყეში წაძუნძულდა.

წითელქუდას გაახსენდა მგლის ნათქვამი — ეს ზღაპარია, გოგო ზღაპარიო და თვითონაც ზღაპარივით დააბოლოვა.

ქათმის ჭირი აქა
უმუშევრობა და უსაქმურობა აქა,
კორუფცია აქა,
ქურდობა, კაცისკვლა, ბოზობა,
ლოთობა, ნარკომანია, აქა.
რათა?!

**ზღაპარი ერთ დაბურულ ტყეში იპოვა უმუშევრობისგან გასავათებულმა**

**ნიკოლოზ იოსებიძემ.**

გახსენება

# „მე რომ აღარ ვიქნები, მაშინ გამიფრთხილდებით“...

## ნაზი კილასონიას პოეტური აღსარება

**გალერეა „უნივერსში“, ამას წინათ, პოეტ ნაზი კილასონიას ხსოვნის საღამო გაიმართა. გული დამწყვიტა საღამოს წამყვანის, ქალბატონი ლინა ბარათაშვილის სიტყვებმა: „ჩვენდა სამარცხვინოდ, ვერ გავუმართლეთ პოეტს იმედი, ვერ გავუფრთხილდით და მოვუარეთ, ვერ წარმოვაჩინეთ მისი ადგილი ქართულ მწერლობასა და ჟურნალისტიკაში. რამდენი ხანია, მისი პოეტური კრებული არ გამოცემულა, მოუვლელია ნაზი კილასონიას საფლავი“...**

**– თქვენ კარგად იცნობდით პოეტს, – მივმართეთ ქალბატონ ლინას, – ახალგაზრდობისთვის უთუოდ საინტერესოა მისი პიროვნება, ცოტამ თუ იცის, რომ თავის დროზე ძალზე პოპულარული პოეტი ნაზი კილასონია იყო მთარგმნელი, ჟურნალისტი, ენციკლოპედიური ცოდნის მქონე ქალბატონი. რას გაიხსენებდით მასთან ურთიერთობიდან?**



– ბედნიერი ვარ, რომ პირადად ვიცნობდი ნაზი კილასონიას. იგი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას განაგებდა. ამ ჟურნალში დროდადრო ქვეყნდებოდა ჩემი ლექსები და ქალბატონ ნაზისთან ხშირი ურთიერთობაც მქონდა. მუდამ თბილი და ყურადღებიანი იყო, მაგრამ როგორც ამბობენ, ყოველთვის ასეთს ვერ ნახავდით. პოეტი დღიურში წერს: „ჩემზე ამბობენ, მწარე ენა აქვსო, ღმერთი, რჯული, იუმორისთვის თუ ვიტყვი რამეს“.

თვალწინ მიდგას: მიდის ქუჩაში, ტანდაბალი, ამაყად თავაწეული, თითქოს ვერავის და ვერაფერს ვერ ამჩნევს. ბევრის მზერა მიაცილებს, იგი ხომ ძალზე პოპულარული პოეტი იყო. ნაზი კილასონიას დანახვაზე ხშირად მიფიქრია, რა არის მისი პოზა – ამპარტავნობა?

მოუსმინეთ, რას ამბობს იგი: „არ მქონია ლექსები, არც არასდროს მექნება“. ხედავთ, რა შესაშური თავმდაბლობაა? ნაზი კილასონია იოტისოდენა ამპარტავნობის საბაბსაც არ გვაძლევს. მაშ, რა იყო ის გარინდება-ამპარტავნული პოზა? იქნებ ნიღაბი, რეალობიდან გაქცევის ცდა? პოეტი ხომ ჩიოდა: „თავი ზეცის მგონია და მიწაზე მიჭირს“. იქნებ ამ გასაჭირის ჟამს უფლისკენ მიისწრაფოდა მისი სული, უფალს ეუბნებოდა პოეტურ აღსარებას:

**„შენ შემოქმედო მაღალო,**
**ვინც განნეცხადე სოფლად,**
**ჯერ ქალად ყოფნამ დამღალა,**
**მერე პოეტად ყოფნამ“.**

ამის მიუხედავად, ლექსი პოეტისთვის მთელი სამყარო, თავშესაფარი იყო. პოეზია ნაზი კილასონიასთვის გაუნელებელი ცეცხლია: „მკერდზე ცხელ მკლავს მადებენ, სიმღერები, ხანძრები“, – წერს იგი.

ანდა:

**„ღამღამობით ხელსა მკრავს**
**მელოდია,**
**შლეგივით ჩაირბენს**
**გვირილიანს,**
**ეს პირმშო სტრიქონის**
**მოლოდინი**
**მწარედ ბედნიერი ტკივილია“.**

**ნაზი კილასონიას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ვრცელი მონოგრაფიები არ დაწერილა. მისი დღიურები „ჩემი დღეების ქრონიკა“ პოეტის გარდაცვალების შემდეგ ჟურნალ „საქართველოს ქალში“ გამოქვეყნდა. როგორ იხატება ამ დღიურებით ნაზი კილასონიას პორტრეტი?**

– დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ჟურნალის აწ გარდაცვლილი რედაქტორის ნარგიზა მგელაძის მიმართ, რომელმაც ამ მასალით პოეტის სულში ჩახედვის საშუალება მოგვცა. მადლობელი ვარ ჩემი მეგობრის, ჟურნალისტ ნანული ბუკიასი ამ დღიურების გამოცემისთვის.

როდის და სად დაიწერა მისი პირველი ლექსი? უთუოდ თავის მშობლიურ სოფელ აბისში, როცა ლექსმა გულის კარები შეუნგრია, ააფორიაქა და სამუდამოდ მონობის ბორკილი დაადო. პოეტი მთელი ცხოვრება ადგილის დედის ერთგული, მისი მარადიული მელექსე დარჩა. პირველყოფილი სიწმინდით ბრწყინავს მის ლექსებში ყაყაჩოსფერი აბისი, მისი ბავშვობის ორეული, სოფლის ფეხშიშველა წვიმები, აგარიდან აბისამდე მწყერჩიტების მოძახილი, ასკილებზე გამშრალი კაბა...

აბისიდან დაიწყო პოეტისთვის სამყარო. წყნარი ბავშვი ყოფილა, დედას გუგული დაურქმევია. თანასოფლელები ბოლომდე ამ სახელს ეძახდნენ. მოხისის ეკლესიაში მოუნათლავთ, საეკლესიო წიგნში მანია ჩაუწერიათ.

ნაზი კილასონიას ბავშვურ სამყაროში დარჩნენ მისი უსაყვარლესი მშობლები და არაჩვეულებრივი ტასო ბაბო: „მშობლები თბილისში მყავდა, ვიყავით ორნი ფიცრულ სახლში, თავთან ძროხა გვება, ტახტზე ვიწექით და ძროხაც ადამიანივით დაგვფშვინავდა, იცოხნიდა, მერე მომშივდებოდა და ალუბლის კერკი გვქონდა ცხრილზე, იმას ვკუკნიდი“. სიღარიბე მისი თანამგზავრი იყო, მაგრამ წიგნები, კითხვა შველოდა, სამყაროს ულამაზებდა და უმდიდრებდა. კითხულობდა დღე და ღამე, როგორც თვითონ წერს, წიგნებში იყო თვალებჩაწყალებული: „და ბალიშიდან დაცურებული, თვალგახელილი მიყურებს წიგნი.“

მე არ მინახავს ბალიშში თავჩარგული ნაზი კილასონია, საავადმყოფოში, სადაც ჯანმრთელობის გაუარესების გამო ბოლო დროს ხშირად იწვა, ისეთი გატაცებით კითხულობდა, რომ ვერ ამჩნევდა მის სანახავად მისულთ. დღიურში წერს: „დამეწყო კითხვაზე შეშლა, ღამეებს ვათენებ, ვკითხულობ, ვკითხულობ, ზოგჯერ ხელახლა ვიკიდებ ხელს თავის ქალაზე და ვამბობ: კი მაგრამ, რისთვის ეს სისავსე, ეს გაბრწყინება, როცა ბოლოს მაინც მიწაა“.

**– პოეტის შემოქმედების თემატიკა მრავალფეროვანია, მისთვის სიყვარული ტანჯვაა, რადგან ვინც უყვარს, „სხვასთან აპრილობს“...**

– პოეტის სიყვარული უნაპირო და შმაგია, ამავე დროს, ძალზე ამაღლებული და ფაქიზი:

**„წავალ, დავეცემი მინდორთან,**
**დაღლილი ლექსით და წვითა,**
**მე განა სიყვარული მინდოდა,**
**რაღაცა უფრო წმინდა“.**

ეს სიყვარული ზეციური და, ამავე დროს, მიწიერიც:

**„მე ზეცით მევსება თვალები**
**ორივე,**
**მაგრამ შენ მიწას, რომ**
**ვეღარ გეხსნები თოლიგე“.**

პოეტის სიყვარული ცალმხრივია, იგი მაინც მოთმინებით ელის სიყვარულის კუნძულზე ოცნების კაპიტანს. მაგრამ სამწუხაროდ, კომპასი სხვა მიმართულებას აჩვენებს, მაშინ კი საყვედური წამოსცდება პოეტს:

**„ვაი, რა ცუდად გიცნივარ,**
**ვისზე ვამყარებ იმედებს,**
**მე ათი გულის ღირსი ვარ,**
**შენ ერთიც ვერ გაიმეტე“.**

შეყვარებული პოეტი გაუნელებელი ცეცხლით იწვის, მაგრამ მასში ქალური სიამაყე ძლევს: „მოვკვდები, მაგრამ არ დაგანახვებ, არ დაგანახვებ, როგორ ვტირივარ“.

ამაღლებული და ამაღელვებელია ნაზი კილასონიას პროზაული ნაწარმოები: „წერილი მარადიულს“. ვინ არის იგი? თავად პოეტი არსად ახსენებს მის სახელს, საოცრად უფრთხილდება. სიკვდილამდე უყვარდა თავისი იდეალი. ნაზი კილასონიას სწამდა სულის უკვდავების, იმქვეყნიური ცხოვრების, ამიტომ წერდა:

**„ჩვენ ზეცაში გადავიხდით**
**ქორწილს,**
**სადაც ლურჯი ყვავილები**
**ფეთქავენ,**
**ჩვენ ზეცაში გადავიხდით**
**ქორწილს,**
**რადგან ავცდით აქ, მიწაზე**
**ერთმანეთს“.**

– „მალე აიმართება სიმფონია ოჯახის“, – წერდა ნაზი კილასონია. აქაც ტრაგიკული ბედი დაჰყვა – შვილები დაეღუპა...

– შვილის დაბადებამდე ლექსი „გიო“ დაიბადა. სულისშემძვრელი იყო დედობასმოწყურებული პოეტის ნატვრა, მოლოდინი... მოვიდა ნანატრი გიო, შემდეგ ოთარი, კახა... მაგრამ შვილების დაბადებასთან ერთად თურმე ტრაგიზმიც იშვა, რომელიც პოეტის გარდაცვალების ერთი წლის შემდეგ უნდა აღსრულებულიყო. გიო და ოთარი ერთდროულად საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპნენ.

დაბოლოს, ეს საუბარი ქალბატონი იზა ორჯონიკიძის სიტყვებით მინდა დავამთავრო: „დღევანდელ საქართველოს, გაჭირვებულსა და თავგზააბნეულს, ჩემი დაკვირვებით, პოეტზე მეტად ექიმი-ფსიქოთერაპევტი სჭირდება, მაგრამ მჯერა და ვიცი, – ის დროც აუცილებლად დადგება, როცა ჩვენი ერი პოეტსაც მოიასაკლისებს, ყველას მოიკითხავს – დიდებსაც და მოკრძალებულებს“.

**ქალბატონი ლინა ბარათაშვილი ფიქრობს, რომ ნაზი კილასონიას ერი დიდ პოეტთა შორის მოიკითხავს, მის შემოქმედებასაც და საფლავსაც უპატრონებს და პოეტის საყვედურიც მკითხველისადმი: „აბა, თქვენ რას მიხვდებით, რა სმენა გჭირთ იმხელა, გაავებულ ფილტვებით მომთქრიალებს სიმღერა“, – განქარდება, რადგან ნამდვილი პოეზია „ცხოვრებისეულ ღელვა-ტორტმანშიც“ აუცილებლად იპოვის გზას გულებისაკენ.**

ესაუბრა
თამარ შაიშმელაშვილი

პოეზია

გურამ გომართელი

# სევდაშეპარული ლექსები



## ამოძახილი

თავი ვეღარ დავაღწიე, ჭრელა-ჭრულა ლოგინს,
აბდაუბდა სიზმრებსა და მშველელ ცისკრის ლოდინს,
სასურველი სანატრელი, მიდის, განა მოდის,
(თუმცა ხშირად ვხედავ ყმაწვილს, კაკლის ძირში რომ ზის).

უსუსური, სხვის შემყურე, ვეღარა ვცნობ ჩემს თავს,
სარკმელიდან მხოლოდ ჩემ წილ ცის ნაჭერსა ვხედავ,
მთა და ბარი ფეხქვეშ მეგო, ახლა კუტად ვგდივარ,
ვერაფრით ვერ გავაღწიე – ნეტა ახლა ვინ ვარ?

...არა, მე არ გავხდები ლეიბ-საბნის მონა,
ღმერთმა ყველას დაანათლა მყარად ფეხზე დგომა,
აქა რის მშველელია წუწუნი და კვნესა,
ჰოდა, მეც გავემზადე საბნის ასაკეცად.

## ნუ მაყვედრი!

აივანზე გადმოდგომა, ჯანღჩამდგარი მთის ყურება,
მეზობლიდან გადმოსული, კრუხ-წიწილის დაპურება,
გვერდზე გადახრილი ჭა და ფერდებშეჭყლეტილი ვედრო,
ჩემი ბედის წარმმართველო – რატომ უნდა დამაყვედრო?!
რიყის ქვისგან აგებული, ღობე, წნელით თავდადგმული,
ჭური, ერთ დროს ღვინით სავსე, სურნელებით გათანგული.
ალაყაფთან მომდგარ სტუმრის დაძახილი – „მაინძელო!“
მერე, სუფრა მადლიანი, დილამდე რომ გავიგრძელო,
მამაჩემის დარგულ ვაზის გასხვლა, ძირის ამობარვა.
კრამიტი რომ ვერ აშალა, ვერცა წვიმამ, ვერცა ქარმა,
მტერ-მოყვარეს ეზო-ბაკი, მოვლილი რომ დავახვედრო:
ჩემი ბედის წარმმართველო – რატომ უნდა დამაყვედრო?!

## ნუ იქნები – „ყოფილი“

რატომ ათვალიერებ, რატომ ფურცლავ ძველ ალბომს?
ნუთუ მოგონებები, გაქვავებულ გულს ალბობს?
რატომ ქექავ ნაწერებს, სიჭაბუკის ნაფერებს,
სულს რომ გიფორიაქებს, დავიწყებულს გახსენებს.

კი, ბატონო ძნელია, ფოთლებცვენის ყურება,
გაძარცვული ალვის ხის, ქარით დაძაბუნება,
იცი, ბოლოს იცლება, ავსებული სასმისი,
იცი, მაგრამ გგონია – შენ ხარ გამონაკლისი.

ჰოდა, მზეს მიუმღერე, რაც გათბობს და გამხნევებს,
მზე ხომ შენთვის ამოდის, მზე ხომ შენ გულს ამთელებს,
ყველა სისხამი დილა, არის შენი ძმობილი,
თავს თუ არ შეუძახე, დაგერქმევა – „ყოფილი!“

## აცდენილი გაზაფხული

წელს გაზაფხული ისე მობრძანდა,
ვერ შევეგებე ხელებგაშლილი,
ვერ დავესწარი სპექტაკლს, რომ დგამდა
ტაბახმელაზე თეთრი აპრილი.

ძუძუს ბატკანი ვერ დავახვედრე,
ვერ გავუშალე მწვანეზე სუფრა,
ვერ მივუჯექით ბიჭები ტაბლას,
გავლილ დღეებზე, რომ გვესაუბრა.

ჩვეულ ადგილას ნაყიდი ია,
ვერ დავიბნიე ცისფერ პერანგზე,
არც შაშვის სტვენა არ გამიგია,
ალბათ მეძებდა სადმე, ვერაზე.

ჩემთვის საფიცარ ყრუ საფლავებზე,
წითელი კვერცხი ვერ გავაგორე,
ჰანგი, ნამღერი ტკბილ საკრავებზე,
ვისაც ვუმღერდი, ვერ გავაგონე.

...და მაინც მჯერა, იმედიან დღეთა სიმრავლის,
კაცს, რომ აკაჟებს, შეუძახებს, სწორედ იმგვარის,
გული იგულებს, დაუღლელად იძგერებს მკერდში,
„ისევ მოვაო გაზაფხული!“ – მღერიან ჩვენში.

2009 წ.

ინფორმაცია

## გალელი მოსწავლეები უატესტატებოდ რჩებიან

ქართველი მოსწავლეები, რომლებიც სეპარატიეტული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში სწავლობენ, შესაძლოა სკოლის დასრულების შემდეგ უატესტატებოდ დარჩნენ.

ისინი სკოლის დამთავრების დამადასტურებელ საბუთს მხოლოდ მას შემდეგ მიიღებენ, თუ აფხაზურ ენაში გამოცდას ჩააბარებენ. ეს ოფიციალური მოთხოვნაა, რომელიც ყველა მოსწავლეზე ვრცელდება.

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის განათლების მინისტრის განცხადებით, ოკუპირებელ ტერიტორიებზე მოქმედებს კანონი, რომელის მიხედვითაც აფხაზეთში მცხოვრებ მოსაწავლეებს საქართველოს ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მიღება უატესტატებოდ შეეძლებათ.

ჯი-ეიჩ-ენი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ქართული ოპოზიცია ზრდის თავის ზეწოლას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე, მოითხოვს მის დაუყოვნებლივ გადადგომას. დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს ოპოზიციონერები განზრახული აქვთ თბილისში მოაწყონ საყოველთაო კრება, რომელზეც, მათი აზრით, მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენლები საქართველოს ყველა დასახლებული პუნქტიდან.

ასეთი სახის რეფერენდუმი წინასწარ ცნობილი შედეგებით, გოლოს და გოლოს, უნდა გაითვალისწინოს ევროპამ, რომელსაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადასცა [illegible] ფეხველობისთვის. გასულ კვირას ბრიუსელში იმყოფებოდა ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი, რომელმაც თბილისში დაბრუნების შემდეგ მწუხარედ აღნიშნა, რომ ევროკავშირის მაღალ წარმომადგენელს ხავიერ სოლანას ჰქონდა არასწორი წარმოდგენა საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ. „ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის შედეგად სოლანას მიაჩნია, რომ ქართული ოპოზიცია გათიშულია, აქვს ერთი მეორის გამომრიცხავი მოთხოვნები, ცდილობს ქვეყანა ჩაითრიოს ქაოსსა და მოძებნოს მოსახერხებელი საბაბი. იმედი მაქვს, რომ საუბრის დროს გადავეცი ბრიუსელში და მანაც და სხვა ევროპელმა ლიდერებმა შეიცვალეს წარმოდგენა საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ, და მალე ხელისუფლება ევროკავშირისგან მიიღებს სათანადო რჩევებს“, – განაცხადა მან ყოველდღიურ საინფორმაციო მიტინგზე.

საფუძველი კი „საქართველოში შექმნილი სიტუაციის შესახებ არასწორი წარმოდგენისთვის“ ჰავიერ სოლანას მართლაც ჰქონდა. სურათი, სადაც ხელისუფლების ოპონენტებს არ ჰყავთ ერთიანი ლიდერი, 10–15 კაცი კი მიიჩნევს თანაბარუფლებიან ლიდერად – არ არის ტიპური ლევანდელობისთვის. წინააღმდეგობის ოპოზიციურ წრეში მართლაც ჰქონდა. მათ უთანხმოება აერთიანებთ მხოლოდ რადიკალური მოთხოვნა სააკაშვილის გადადგომის შესახებ. და იმის თქმა, თუ როგორ განვითარდება მოვლენები, თუ მიიღწევა იქნება მიზანი, არავის შეუძლია.

ამ დღეებში მოქმედებს „ალიანსი საქართველოსთვის“ ცნობილმა წარმომადგენელმა თინა ხიდაშელმა ოპოზიციური ტელეარხის „მაესტროს“ ეთერში „გაიხსენა“ ბიზნესის შესახებ, რომელიც ხელისუფლებამ წაართვა ბიზნესმენ გოჩა ძასოხოვს, რომელმაც ამ დღეებში

# სააკაშვილი ყველა მხრიდან მოიმწყვდიეს



სოჭში გამართა საქართველოს ძალაუთა ასოციაციის პირველი საერთაშორისო კონფერენცია. მარამ ძასოხოვი ინტერვიუ შესანიშნავი საბაბი გახდა ოპოზიციის მორიგი გაამოზოფინისთვის. „ამ ხელისუფლებასთან საქმის ქონა შეუძლებელია, მასთან ლოიალურად ყოფნაც კი არ შეიძლება. განა ლოიალური არ იყო ძასოხოვი, რომელიც სანიმუშო მეწარმე? რა გავაქვს ლეცე? ძასოხოვი გაძევებულია, ხელისუფლებამ კი მისი ბიზნესი ნაწილ-ნაწილ გაიტაცა აუქციონზე“, – განაცხადა ხიდაშელმა.

გოჩა ძასოხოვი მართლაც ნაწყენია სააკაშვილსა და ხელისუფლებაზე. და არა მხოლოდ იგი. შარშან აგვისტოში მან დატოვა საქართველო და რუსეთში შექმნა საქართველოს ხელისუფლების ოპოზიციური საქართველოს ქალაქთა ასამბლეა. სოჭის კონფერენციაზე მან მოუწოდა „ყველა ხალხის წარმომადგენელს, პოლიტიკურ პარტიებსა და საზოგადოებრივ გაერთიანებებს, დაივიწყონ წყენა, უკან გადადონ პოლიტიკური ამბიციები და იფიქრონ ჩვენი სახელმწიფოს მომავალზე“. მისი სიტყვებით, დადგა დრო, როდესაც საქართველოს ხალხი უნდა გაერთიანდეს ქართული სახელმწიფოებრიობის ერთიანული ინტერესების გარშემო და ამით ხელი შეუწყოს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლას, პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლას. ამ დროს საკითხზე საუბრით ოსეთისა და აფხაზეთის სახელმწიფო-ბრივი ლიდერები, სტატუსის შესახებ კონფერენციის ორგანიზატორებმა არჩიეს არაფერი ეთქვათ, რადგან მას ნაადრევად მიიჩნევენ.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საქართველოს ხელისუფლების ულტიმატუმს გავრცელდა. „საქართველო უნდა გახდეს ნეიტრალური, ბლოკებიუშე მყოფი ქვეყანა, რომელიც ავითარებს თავის ურთიერთობას თავის მეზობლებთან და მსოფლიოს ყველა სახელმწიფოსთან, – აღნიშნულია დოკუმენტში. – ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან არ უნდა მოდიოდეს სამხედრო დაშინება, ვისთვისაც უნდა იყოს იგი. საქართველომ, თავის მხრივ, უნდა მიიღოს საერთაშორისო გარანტიები მის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის შესახებ. საქართველოს უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა გახდეს რუსეთის ფედერაციასთან კეთილმეზობლური, თანაბარუფლებიანი ურთიერთობის აღდგენა და განვითარება“. რეზოლუციაში აღნიშნულია აგრეთვე „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის მიმზიდველი პირობების შექმნა, რესტიტუციის შესახებ კანონების შემოღების აუცილებლობა, ბარენცინიზმის უფლება საქართველოს ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილებისთვის, ყველა სასაზღვრო და საბაჟო, აგრეთვე სხვა ბარიერების მოხსნა, კონფლიქტური ზონების დემილიტარიზაცია ურთიერთობების საფუძველზე“.

ორგანიზატორები ყოველმხრივ ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ასამბლეის შეკრება არ არის მოსკოვის პოლიტიკური დაკვეთა და შეკრებილები მოქმედებენ ნებისის კარნახით. შეკითხვაზე, მოითხოვენ თუ არა კონფერენციის მონაწილეები მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკის წასვლას, ძასოხოვმა უპასუხა: „ეროვნულ-ფიცელოვნად“. „თუ მას დარჩა ოდნავ ნამუსი, თავისი თავისი და ქართველი ხალხის პატივისცემისა, იგი უნდა წავიდეს“, – განაცხადა საქართველოს ქალაქთა ასოციაციის პრეზიდენტმა. მას მიაჩნია, რომ „საქართველო უნდა გათავისუფლდეს და დავუბრუნოთ მას, დაუღლოს თავისი ანტიდემოკრატიული რეჟიმი, რომელიც მასზე ძალადობს“.

სხვათა შორის, უსიურპრიზოდ კონფერენცია არ დამთავრებულა. პატრიარქმა ილია მეორემ ალექსანდრე ებრალიძე, რომელიც მიწვეული იყო სტუმრის სტატუსით, მოულოდნელად ტრიბუნიდან განაცხადა თავისის საპრეზიდენტო ამბიციების შესახებ. „20 წელი ვითმენდი, ვუყურებდი, ვუსმენდი და იმედი მქონდა, რომ მოვა ვინმე, ვინც აღადგენს ურთიერთობას მეზობლებთან, ხალხს მოუტანს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას. მაგრამ მოვიდა ასეთი სიმძიმე. მე მონაწილეობას მივიღებ მომავალ არჩევნებში საქართველოში“, – განაცხადა ბიზნესმენმა. მან ბოდიში მოუხადა სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთისა და საქართველოს ხალხებს და განაცხადა, რომ „მოვიძიებ ამ რთული პრობლემის გადაჭრის გზებს“. და იკითხა აბსურდად მიიჩნია საქართველოს მომავლის, შან სიტყვები დაამთავრა უმაღლეს მთავარსარდლის ირეშე სტალინის სიტყვებით: „ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!“

ლოლისკების ორგანიზატორების რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, ასეთი გამოსვლა არ ყოფილა დაგეგმილი და ყველასთვის გახდა მოულოდნელი. ებრალიძე უმალვე მონათლეს თვითმარქვიად და გაემიჯნენ მას.

ვიქტორია მაგდა

Независимая

# ნატოს სწავლების მოწინააღმდეგენი ზარალს ნახულობენ

საქართველოში სტარტი აიღო ნატოს სწავლების მეორე საველე ეტაპმა. 14 ქვეყნის დაახლოებით 1000 სამხედრო მოსამსახურე ამუშავებს სამშვიდობო ოპერაციის წარმოებას. მანევრების დაწყებას წინ უსწრებდა საქართველოს სპეციალური სამსახურების სპეციალური ოპერაცია ყოფილი სამხედროების, მუხროვანის ბაზაზე ამბოხის მოწყობაში ბრალდებულების წინააღმდეგ. ოპერაცია დამთავრდა ნამდვილი საბრძოლო მოქმედებით თბილისის გარეუბანში.

ხუთშაბათს ღამით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო მონაცემები იმის შესახებ, რომ მუხროვანის ამბოხის სამი ორგანიზატორი – ყოფილი პოლკოვნიკები კობა ოთანაძე, გიორგი კრიალაშვილი და მაიორი ლევან ამირიძე – იმალებიან ერთ-ერთ კერძო სახლში თბილისის გარეუბანში. ჩვენი მონაცემებით, ეს ცნობები პოლიციამ მიიღო ერთი ინფორმატორისგან, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ მიიღებდა დიდ ჯილდოს – ადრე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა ჯილდო 120 ათასი დოლარის ოდენობით პოლკოვნიკ ოთანაძის შესახებ ინფორმაციისთვის და 50-50 ათასი დოლარი მისი თანამებრძოლებისთვის. მეამბოხეთა სავარაუდო სამალავისკენ, რომელიც მიუთითა პიროვნებამ ვინც პოლიციაში დარეკა, ოპერატიულად გაიგზავნა დაახლოებით 50 ჯარისკაცი და ოფიცერი, კრიმინალური პოლიციის ქვედანაყოფები და სხვა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. ალყაში მოხვედრილმა ძებნილებმა დაიწყეს პისტოლეტის სროლა. პასუხად ძალოვანებმა ცეცხლი გაუხსნეს სახლს ავტომატური იარაღით. ბრძოლა 15 წუთი გრძელდებოდა. როცა სროლა დამთავრდა, სროლის ადგილისკენ დაიძრა სასწრაფო დახმარების კარეტა. ექიმებმა და სანიტრებმა სახლიდან გამოიყვანეს ერთი დაღუპული და ორი დაჭრილი. მოგვიანებით გაირკვა, რომ სპეცოპერაციის შედეგად მოკლული იქნა პოლკოვნიკი კრიალაშვილი, კობა ოთანაძე და ლევან ამირიძე კი მძიმედ დაჭრილებია. დაჭრილები გადაიყვანეს თბილისის კლინიკაში, სადაც ოპერაციები გაუკეთეს. „ორივე პაციენტი დაჭრილია მუცლის არეში. ოპერაციებმა წარმატებით ჩაიარა და მათ სიცოცხლეს უკვე საფრთხე აღარ ემუქრება“, – განაცხადეს კლინიკაში.

ნატოს ამჟამინდელი სწავლება საქართველოში, რომელიც მიმდინარეობს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობის სახელით“ ჩარჩოებში, სკანდალური გახდა დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. შეურიგებელ მოწინააღმდეგედ გამოვიდა მოსკოვი, რომელიც მთელი გასული თვის განმავლობაში მოუწოდებდა ალიანსს, უარი ეთქვა სწავლებაზე. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სწავლების მოწყობას „ღია პროვოკაცია“ უწოდა. „როდესაც ესა თუ ის სამხედრო ბლოკი აწყობს სწავლებას იმ წერტილების მახლობლად, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ იყო დაძაბულობის მაღალი დონე და სადაც ამჟამადაც ყველაფერი წესრიგში არ არის, ეს იმუქრება ყოველგვარი გართულებებით“, – აფრთხილებდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

მისი სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა – პრობლემების ცდა დიდხანს არ დასჭირვებიათ. 5 მაისს, პირველი საშტაბო ფაზის დაწყებამდე ერთი დღით ადრე აჯანყება მოაწყო სატანკო ბატალიონმა, რომელიც დისლოცირებული იყო მუხროვანში. საქართველოს ხელისუფლებამ უმალვე განაცხადა, რომ შეთქმულების ძაფები, რომლის მიზანიც იყო ნატოს სწავლების ჩაშლა, მიდის რუსეთისკენ. „მათ სურთ გაამძაფრონ დაძაბულობა და შეეცადონ ნატოს სწავლების ჩაშლას“, – განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი განაცხადა, რომ „მეამბოხეები მოქმედებენ გარეშე ძალასთან მჭიდრო კოორდინაციით“. „მე ვაფრთხილებ რუსეთს, რომ შეწყვიტოს პროვოკაციები საქართველოს წინააღმდეგ, ჯარების კონცენტრაცია სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში. ეს ძალიან სახიფათო თამაშია!“ განაცხადა ბატონმა სააკაშვილმა, რომელიც პირადად მივიდა მუხროვანში, რათა დაემშვიდებინა სამხედროები.

სატანკო ბატალიონი დანებდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა სააკაშვილმა ნაწილის მეთაურს პოლკოვნიკ მამუკა გორგიაშვილს წაუყენა ულტიმატუმი: ან ბატალიონი დანებდება, ან სამხედრო ნაწილი „წარხოცილი იქნება პირისაგან მიწისა „გრადის“ დანადგარების ცეცხლით“, რომელიც იმ დროისთვის უკვე განლაგებული იყო ბაზის გარშემო ყველა სიმაღლეზე. შედეგად ბუნტი ჩახშობილი იქნა იმავე დღეს. ზოგიერთი შეთქმული, მაგალითად, მამუკა გორგიაშვილი დააკავეს ცხელ კვალზე. დანარჩენ მეამბოხეებზე კი, რომლებსაც ხელისუფლება მიაკუთვნებდა გადამდგარ პოლკოვნიკებს კობა ოთანაძესა და გიორგი კრიალაშვილს, აგრეთვე მაიორ ლევან ამირიძეს, გამოცხადდა ძებნა.

ქართულმა ოპოზიციამ მუხროვანის ამბოხს მაშინ „ხელისუფლების ინსცენირება“ უწოდა. „ეს იყო ერთი მსახიობის მდარე თეატრი“, განაცხადა პარტია „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ეკა ბესელიამ. გუშინდელ ოპერაციას ქალბატონმა ბესელიამ „წარუმატებელი და დანაშაულებრივი“ უწოდა. მისი სიტყვებით, პოლიციას არ ჰქონდა ეჭვმიტანილის ლიკვიდაციის უფლება, „რა ბრალდებაც მას უნდა ჰქონოდა წაყენებული“. გუშინდელ ანტისამთავრობო მიტინგზე საქართველოს დედაქალაქში ოპოზიციის ლიდერებმა მოუწოდეს შეკრებილთ წუთიერი დუმილით პატივი მიაგონ პოლკოვნიკ კრიალაშვილის ხსოვნას, ვინაიდან იგი „დაიღუპა ხალხის სახელით“.

გიორგი დვალი, ვლადიმერ სოლოვეი

Коммерсант

## დედამიწის ზურგზე

**მგზავრმა 300 კაცი გადაარჩინა ავიაკატასტროფას. მან ჰაერში შენიშნა სათბობის გადინება**

ბოინგი 747-400 ასრულებდა რეისს ჩიკაგოდან ტოკიოში, როდესაც 9 ათას მეტრ სიმაღლეზე ერთ-ერთმა მგზავრმა შენიშნა თეთრი „კვამლი“, რომელიც თვითმფრინავის ფრთის ქვეშიდან გამოდიოდა. 30 წლის ბარტეკ ბახლედამ, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო საჰაერო ძალების სერჟანტმა, გაიგო, რომ მოხდა სათბობის გადინება, და ამის შესახებ აცნობა ეკიპაჟს.

* * *



**ისრაელმა უარყო იერუსალიმის გაყოფის შესაძლებლობა, რამაც პალესტინელთა მკვეთრი რეაქცია გამოიწვია**

ცერემონიაზე, რომელიც მიძღვნილი იყო ისრაელის ხელისუფლების ქვეშ ქალაქების გაერთიანების 42 წლისთავისადმი, პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ, კერძოდ, აღნიშნა, რომ „იერუსალიმი ეს არის ებრაელი ხალხის მუდმივი დედაქალაქი, გაერთიანებული ქალაქი, რომელიც არასოდეს არ იქნება დაყოფილი“.

* * *

**ამერიკაში 6 წლის ბიჭმა წაიყვანა ავტომობილი, როდესაც მამამისმა საჭესთან გონება დაკარგა**

ტასტინ ნეინსი თავისი სამი წლის ძმასთან ერთად იჯდა უკანა სავარძელზე როდესაც დაინახა, რომ რაღაც მოსდის მამამისს. მამაკაცი საჭესთან თანდათან დაბლა მიცურავდა. ბიჭი უმალვე გადახტა თავისი ადგილიდან მამის მუხლებზე და ხელი წაავლო საჭეს.



* * *

**მიწისძვრამ ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთში ათობით სახლი დაანგრია**

ეს მოხდა ხუთშაბათს საღამოს სინძიან-უიგურის ავტონომიურ რაიონში. მისი მაგნიტუდა შეადგენდა 5,2 ბალს. 15 დასახლებულ პუნქტში გაიგზავნა მაშველთა გუნდები. მონაცემები დაღუპულთა შესახებ ჯერ არ შემოსულა. აპრილის ბოლოს სინძიანში მიწისძვრისგან დაზარალდა თითქმის 6 ათასი კაცი.

* * *

**ბუშს შესთავაზეს ფული, რათა თავის თავზე გამოსცადოს დაკითხვის დროს გამოყენებული „დახრჩობის იმიტაცია“**

წინადადების თანახმად, თითოეული წუთი, რასაც ექს-პრეზიდენტი გაუძლებს, დაჯდება 100 დოლარი. ბუშის გარდა ასეთი წინადადების წერილი მიიღეს აგრეთვე ამერიკის ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა დიკ ჩეინიმ და ექს-სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა, რომლებიც მხარს უჭერდნენ ასეთ წამებას.


# განცხადება

სს „ელმავალმშენებლის“ აქციონერებს გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „მეწარმეთა შესახებ“ 54.1[1] პუნქტის და სს „ელმავალმშენებლის“ წესდების 20.5 პუნქტის შესაბამისად ო. გ. ზირიანოვმა, სს „ელმავალმშენებლის“ 87 პროცენტი აქციის მფლობელი – შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია „DEMA COMPUTERS LIMITED“-ის დირექტორმა, განიხილა სს „ელმავალმშენებლის“ 2008 წლის საქმიანობის შედეგები და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:

6. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ გენერალური დირექტორის ზ. ცინცაძის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2008 წელს გაწეული მუშაობის შედეგების შესახებ.

7.

8. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიში 2008 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

9.

10. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორთა საბჭოს ერთობლივი წინადადება სს „ელმავალმშენებლის“ 2008 წლის მოგების 3 318 945 (სამი მილიონ სამასთვრამეტი ათას ცხრაას ორმოცდახუთი) ლარის დივიდენდების სახით განაწილების შესახებ, აქციის რაოდენობის შესაბამისად, შემდეგნაირად

„DEMA COMPUTERS LIMITED“ – აქციათა რაოდენობა 87 პრ. – 2 887 482,15 ლარი

საქართველოს სახელმწიფო – აქციათა რაოდენობა 12,76488 პრ. – 423 659,35 ლარი

სულ 2 590 აქციონერზე – აქციათა რაოდენობა 0,23512 პრ. – 7 803,50 ლარი

მათ შორის თითოეულ აქციონერზე – 3,00 ლარი.

აქციონერებზე დივიდენდების გადახდა განხორციელდეს 2010 წლის 1 იანვრამდე.

11. დამტკიცდეს სს „ელმავალმშენებლის“ წესდება ახალი რედაქციით.

12. სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების თანახმად, სს „ელმავალმშენებლის“ აუდიტორად 2009 წელს არჩეულ იქნეს შპს „ქართული აუდიტორული კომპანია“ (საიდენტიფიკაციო კოდი 205207319, დარეგისტრირებული 2007 წლის 28 მაისს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ).

სს „ელმავალმშენებლის“ სამეთვალყურეო საბჭო



# განცხადება

სს „საქლითონის“ აქციონერთა საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. დირექტორის დანიშვნა;
2. სხვადასხვა საკითხებზე.

მისამართი: ქ. თბილისი, ჭონქაძის ქ. №12.

პატივისცემით
სს „საქლითონის“
დირექტორი

◉ დისკუსია



# ორი შეკითხვა გიორგი სააკაძის თანამედროვე დილეტანტ ბრალმდებლებს

(მეექვსე გვერდიდან)

მაგალითად ავიღოთ საქართველოს უგვირგვინო მეფე, ქართული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული დიდი ილია. ილია ჭავჭავაძის დროინდელი არაკაცი ქართველები ავრცელებდნენ ინფორმაციებს, თითქოს წყაროსთან წყლის დასალევად მისულ გლეხებს ილია აივნიდან ქვებს ესროდა. დავიჯეროთ ეს სიბინძურე? თვით დავით აღმაშენებელსაც „ბევრი ნაკლი“ ჰქონდა, რომლის შესახებაც თვითონ საუბრობდა. ხომ შეიძლება 300-400 წლის შემდეგ აღმოჩნდეს „მკვლევარი“, რომელიც „გამოიკვლევს“ და „დაასაბუთებს“, რომ ზვიად გამსახურდია ეროვნული გმირი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი კი არა – მოღალატე და ავანტიურისტი იყო. რა ვერ იპოვის მაკომპრომეტირებელ მასალას? იპოვის და მრავლადაც. გაეცნობა საქართველოს პირველ პრეზიდენტთან დაპირისპირებულ პოლიტიკოსთა შეხედულებებს და მორჩა.

თუ ასე გავყვებით, აღმოჩნდება, რომ ჩვენ საამაყო ისტორიის ნაცვლად სამარცხვინო, მოღალატეების, ყალთაბანდების და კარიერისტების ისტორია უფრო გვქონია. ეს არის დამღუპველი სნობისტური შემეცნება. სავსებით მართალია გიორგი სააკაძის დიდებული ძეგლის ავტორი მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილი, როცა ბრძანებს: „ვინც ძველ გმირებს ცილსა სწამებს, ის ნამდვილად ვაიქართველია“. გარდა ამისა, სააკაძის არც ერთი ბრალმდებელი წყარო არ წარმოადგენს უტყუარ ისტორიულ სინამდვილეს. ყველა ეფუძნება ვარაუდს. ვერავინ ვერ დაამტკიცებს, რომ ეს არის 100-პროცენტიანი ჭეშმარიტება. „სააკაძისტები“ და სააკაძის მოწინააღმდეგენი გაუთავებლად იკამათებენ ამ წყაროების ირგვლივ. სად არის გამოსავალი? გამოსავალი არსებობს!

გენიალურმა გერმანელმა მოაზროვნემ ფრიდრიხ ჰეგელმა „რელიგიის ფილოსოფიაში“ მოგვცა აქსიომურ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებული უკვდავი სენტენცია, რომელიც მსგავსი ისტორიული პიროვნებების შეფასებისას უდიდეს სამსახურს გაგვიწევს: „ისტორიაში მნიშვნელოვანია არა ის, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, არამედ ის, რაც მოხდა“.

თუ სააკაძის მომხრეები და მოწინააღმდეგეები მუდმივად კამათობენ დიდი მოურავის ბრალმდებელი წყაროების ირგვლივ, არც „სააკაძისტები“ და არც სააკაძის „მაბრალობელნი“ არ დავობენ და არც არასოდეს იკამათებენ იმაზე, რომ გიორგი სააკაძე არის სხერტის ჭალის, ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის და ქსნის ხეობაში (რომელიც გასულ ზაფხულს დავკარგეთ) წარმოებული გმირული სახალხო ომის ავტორი. აი 100-პროცენტიანი რეალობა, ისტორიულად მომხდარი ფაქტები, ისტორიული სინამდვილე. თუ ჩვენ ავირჩევთ არა უტყუარ სინამდვილეს, არამედ ალტერნატიულ ისტორიას, ისტორიულ ვარაუდს, ისტორიული მეცნიერების გააზრების ფარგლებს მიღმა აღმოვჩნდებით. ეს არის კიდეც არაპროფესიონალიზმი. ამ ვარაუდებს ეყრდნობიან სააკაძის თანამედროვე დილეტანტი მოწინააღმდეგენი. ცხადია, ვარაუდის უფლება ყველას აქვს, მაგრამ ისტორიული პიროვნების შეფასების კრიტერიუმად ვარაუდი ვერ გამოდგება.

გიორგი სააკაძის ფენომენთან დაკავშირებულ ისტორიულ ანტინომიას გადაჭრის ორი შეკითხვა, რომელიც უნდა დავუსვათ დიდი მოურავის თანამედროვე დილეტანტ ბრალმდებლებს: **1. შექმნილი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჰქონდა თუ არა სპარსეთის იმპერიას და მის ყველაზე დიდ წარმომადგენელს შაჰ-აბას I-ს (1587-1629) მიღებული გადაწყვეტილება გადაესახლებინა ან ფიზიკურად მოესპო ამიერკავკასიის ქრისტიანული მოსახლეობა, აქ ჩამოესახლებინა თურქმენული ტომები და შეექმნა მაჰმადიანური სახანოები? და 2. ვინ და რომელმა ბრძოლებმა ჩაშალა შაჰ-აბასის ეს მზაკვრული გეგმა?**

აი, ამ კითხვებზე პასუხის გაცემის შემდეგ შეიძლება ააგო საუბარი ამ ხალხთან. წინააღმდეგ შემთხვევაში გიორგი სააკაძის პიროვნებაზე კამათი დღეს შეიძლება გამოწვეული იყოს მხოლოდ საქართველოს ისტორიის ამ მონაკვეთში აბსოლუტური არაკომპეტენტურობით.

ისტორია არ არის ზუსტი მეცნიერება, მაგრამ დღეს უკვე 100 პროცენტით აა დადასტურებული, რომ რუსეთის ფაქტორის გამო, რომელიც კავკასიისკენ ძლევამოსილად მოიწევდა და ქართველი მეფეები ერთმორწმუნე რუსეთზე ამყარებდნენ იმედებს მაჰმადიანური ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ, შაჰ-აბას I-მა გადაწყვიტა გადაესახლებინა ან ფიზიკურად მოესპო ამიერკავკასიის ქრისტიანული მოსახლეობა, რათა რუსეთისთვის დასაყრდენი გამოეცალა. შაჰმა შესანიშნავად იცოდა, რომ თუ რუსეთი საქართველოში ფეხს მოიკიდებდა, ირანი გამოეთხოვებოდა მთელ ამიერკავკასიას, რაც მოხდა კიდეც ორი საუკუნის შემდეგ. ამიტომ გაასწორა მიწასთან კახეთი, იგივე ელოდა ქართლსაც, რაც აუცილებლად იქნებოდა საქართველოს დასასრული, მაგრამ ღმერთმა ეს არ დაუშვა და ხარების ბრწყინვალე დღესასწაულზე 1625 წლის 25 მარტს (ახ. სტ. 7 აპრილს), გიორგი სააკაძის მიერ ბრწყინვალედ ორგანიზებული აჯანყების შედეგად, ქართველებმა მუსრი გაავლეს მარტყოფის ველზე დაბანაკებულ სპარსეთის ჯარს. ამას მოჰყვა მარაბდა და ქსანი, რომელმაც დაასამარა შაჰის მიზანთროპული გეგმა. ამიტომ წერდა დიდი ნიკო ბერძენიშვილი: **„გიორგი სააკაძემ იხსნა, თავისი პირადი ბედნიერების ფასად, საქართველო სასიკვდილო საფრთხისაგან იმით, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი 1623-1625 წლების გმირული სახალხო ომისა, რომელმაც აიძულა შაჰ-აბასი ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსპობის განზრახვაზე“**. ეს არის ჭეშმარიტება. 1623-1625 წლებში ალიკვეთა სპარსეთის იმპერიის მზაკვრული გეგმა და შეიცვალა ტაქტიკა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხში. ამიტომ უწოდა მადლიერმა შთამომავლობამ გიორგი სააკაძეს „დიდი მოურავი“, რომელმაც უდიდესი საფრთხის წინაშე დააყენა არა მარტო საკუთარი სიცოცხლე, არამედ სამშობლოს ღირსებას მსხვერპლად შეწირა ამ ქვეყნად ყველაზე ძვირფასი – საკუთარი შვილი პაატა სააკაძე.

თუ ამ ორ კითხვაზე გიორგი სააკაძის ბრალმდებლებს სხვა პასუხი აქვთ, კეთილი ინებონ და გაგვაგებინონ. აქ გამოჩნდება მათი ცოდნაც, ერუდიციაც, რამდენად კომპეტენტურები არიან ამ კონკრეტულ საკითხში და საერთოდ რა დონეზე ესმით ისტორია.

და კიდევ ერთი: თანამედროვე დილეტანტი „მკვლევარები“ ზოგჯერ ქართველი კაცის სამომავლო ორიენტირების თვალსაზრისით გიორგი სააკაძეს უპირისპირებენ ქეთევან წამებულს, ლუარსაბ წამებულს და ა.შ. ე.ი. იმათ, ვინც თავი დადო ქრისტიანული მართლმადიდებლობისათვის, ხოლო სააკაძემ რჯული შეიცვალა. ეს არის აბსოლუტურად უვიცი, სიღრმეს მოკლებული, არამეცნიერული შედარება. ქეთევან წამებული და სხვა ღვაწლმოსილი მოწამეები და გიორგი სააკაძე სხვადასხვა ყაიდის გმირები არიან. ამგვარი დილეტანტები დიდი მოურავისგან ითხოვენ ისეთ თვითშეწირვას, როგორიც მაგ. ქეთევან დედოფალმა მოახდინა. ეს იყო ქართველი ერის იდეოლოგიური გამარჯვება. განუზომელია ქეთევან წამებულის ღვაწლი მშობელი ერის წინაშე. მაგრამ კახეთის დედოფლის თავგანწირვა საკმარისი არაა ერის სახსნელად, მას სააკაძე სჭირდება. შემართული ბასრი მახვილი სჭირდება, რათა გადარჩეს ქართული ჯიში და გენი. გიორგი ქეთევანივით რომ მოიქცეს, კიდევ ერთი შეწირული წმინდანი ეყოლება საქართველოს, მაგრამ არ მოხდება მარტყოფი, მარაბდა, ქსანი.

აქაა სწორედ ღვთაებრივი ჩანაფიქრი. გიორგი სააკაძე არის გმირი, რომელიც „მხოლოდ დროისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს, ხელს არ იღებდა ქრისტიანობაზე“ და უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის – ღვთისმშობლის ხარების დღეს იხსნა კიდეც საქართველო, ქეთევან დედოფალმა – სხვაგვარად, გიორგი სააკაძემ კი – სხვაგვარად. მათი შეპირისპირება არის გაუთვითცნობიერებლობა „ღვთისა და კეისრის სამეფოს“ დიალექტიკაში. აღარაფერს ვამბობ ისეთ უსუსურ და არაადეკვატურ შედარებებზე, სადაც გიორგი სააკაძეს ადარებენ სტალინს, შევარდნაძეს და ა.შ.

ერთ საგაზეთო წერილში მეტის თქმა, ვფიქრობთ შეუძლებელია. გიორგი სააკაძე არის ულამაზესი ქართული ისტორიული ეპიზოდების მჭედელი. საკმარისია გაიხსენო ცხრა ძმა ხერხეულიძე, დავით ჯანდიერი, ბაადურ ციციშვილი, შვიდი ჩოლოყაშვილი, ცხრა მაჩაბელი, რუსთაველი და ხარჭაშნელი ეპისკოპოსები და უმალვე დიდი მოურავის საარაკო საქმენი გაიელვებს თვალსაწიერზე.

თუ სტალინმა კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელს შეკვეთა მისცა გადაეღო ფილმი ლეგენდარულ ქართველ გმირზე, კარგი საქმე გაუკეთებია. ჭიაურელმა ბრწყინვალე ქართველ მსახიობთა ანსამბლით შექმნა ამაღელვებელი ფილმი გიორგი სააკაძეზე, მაგრამ მე სხვა ფილმს გავიხსენებდი: გიორგი შენგელაიას შესანიშნავ ფილმში „ხარება და გოგია“, არის ერთი ეპიზოდი, როცა ტყეში გასულ ვაჟკაცებს ილო მეღუქნე შეუერთდება, ერთ-ერთი მთავარი გმირი გოგია აღტაცებული შესძახებს: „მეღუქნელა გვაკლდა, ახლა საქმე ისე წაგვივა, სააკაძეს შეშურდება“. ამას ვაჟკაცები ამბობენ იმიტომ, რომ დიდი მოურავი ყოველთვის იყო და იქნება ქართული ვაჟკაცობის მარადიული სიმბოლო.

**ზურაბ კვეტენაძე,**
**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი.**

საქმე №3/200-2008

# განჩინება

## საჯარო შეტყობინების შესახებ

19 მაისი 2009 წელი. ქ. ქუთაისი

## ქუთაისის საქალაქო სასამართლო

მოსამართლე ირაკლი ლეკვეიშვილი
სხდომის მდივანი კობა მოდებაძე

მოსარჩელე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
წარმომადგენელი – შოთა კუბლაშვილი
მოპასუხე – ზაალ სოხაძე.
დავის საგანი – თანხის დაკისრება.

**გამოარკვია:**

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მოპასუხე ზაალ ზურაბის ძე სოხაძის მიმართ და მოითხოვა დაეკისროს მოპასუხეს 16384,95 ლარის ანაზღაურება, ზიანის სახით 2223,99 ლარის, აგრეთვე პირგასამტეხლო 14160,96 ლარის 0,2 პროცენტის ოდენობის ყოველდღიურად, 2005 წლის 11 დეკემბრიდან მოთხოვნილი თანხების გადახდამდე ანაზღაურება.

მოსარჩელემ მოპასუხის საცხოვრებელ ადგილად მიუთითა ქ. ქუთაისი, დ. აღმაშენებლის ქ. №112.

სასამართლო კურიერის მიერ წარმოდგენილი გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათში აღნიშნულია: რომ „ზაალ სოხაძე დიდი ხანია არ ცხოვრობს მითითებულ მისამართზე.“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს გამოაქვს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის ადმინისტრაციულ ერთეულში.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო განცხადებაში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდება მოპასუხე ზაალ სოხაძისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვა.

აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიტანოს განჩინება საჯარო შეტყობინების შესახებ პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლებით,

**დაადგინა:**

1. განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“.

2. ეცნობოს მოპასუხე ზაალ ზურაბის ძე სოხაძეს, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოებაშია მიღებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ზაალ სოხაძის მიმართ მოპასუხე ზაალ სოხაძისათვის 16384,95 ლარის ანაზღაურების, ზიანის სახით 2223,99 ლარის, აგრეთვე პირგასამტეხლოს 14160,96 ლარის 0,2 პროცენტის ოდენობის ყოველდღიურად, 2005 წლის 11 დეკემბრიდან მოთხოვნილი თანხების გადახდამდე ანაზღაურების შესახებ.

3. ეცნობოს მოპასუხეს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელისა გამო ზაალ ზურაბის ძე სოხაძის მიმართ – თანხის დაკისრების თაობაზე, სასამართლოს მთავარი სხდომა დანიშნულია 2009 წლის 04 ივნისს 14 საათზე, ქუთაისის საქალაქო სასამართოლში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11ძ.

4. განჩინების გამოქვეყნება დაევალოს მოსარჩელეს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს.

5. ეცნობოს მოპასუხეს ზაალ ზურაბის ძე სოხაძეს, რომ თუკი იგი ან მისი უფლებამოსილი პირი ვერ გამოცხადდება სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზების თაობაზე წინასწარ აცნობოს სასამართლოს. მთავარ სხდომაზე მოპასუხის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის $26^1$-ე მუხლის თანახმად, სასამართლო უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე.

6. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

მოსამართლე
**ირაკლი ლეკვეიშვილი**

ქართული ჭიდაობა

# 225 სპორტსმენის მონაწილეობით



**ოლიმპიური ჩემპიონის შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის დარბაზში 1995-1996 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობა გაიმართა ქართულ ჭიდაობაში. პირველობისთვის 25 ქალაქისა და რაიონის 225 წარმომადგენელი იბრძოდა.** წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ თემურ ნოზაძე (32 კგ., ხაშურიძ, ალიკა ბოლქვაძე (35, აჭარაძ, ვალერი ცერცვაძე (38, ყვარელიძ, ივანე ჯავახიშვილი (42, გორი), ლევან თანიაშვილი (46, დუშეთი), სოლომონ თედიაშვილი (50, საგარეჯოძ, გიორგი გუგულაშვილი (55, თბილისიძ, გიორგი ტიტვინიძე (60, თბილისიძ, ბექა დოლვანი (66, თბილისიძ, გიორგი ლაზუაშვილი (+66, ზესტაფონი.

როგორც ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა უშანგი ყურაშვილმა გვითხრა, ბოლო წლებში ამდენი მონაწილე არც ერთ შეჯიბრებაზე არ ყოფილა. ეს კი იმის დასტურია, რომ ეროვნული საუნჯე აღორძინებას იწყებს.

**ლექსო ცინცაძე**

არჩევანი

# „აიაქსი“ თუ „ალკმაარი“?



**ამას წინათ გაუწყეთ, რომ ჰოლანდიის ახალ ჩემპიონ „ალკმაარიდან“ მიუნხენის „ბაიერნში“ გადასული ლუის ვან გაალის ერთ-ერთ თანაშემწედ შოთა არველაძის კანდიდატურა განიხილებოდა, მაგრამ უკანასკნელ დღეებში ვითარება შეიცვალა და, ადვილი შესაძლებელია, ჩვენი თანამემამულე „ტიტების ქვეყანაში“ დარჩეს.**

იქაურ გამოცემა „დე ტელეგრაფის“ ცნობით, ამსტერდამის „აიაქსის“ მთავარ მწვრთნელად დანიის ეროვნული ნაკრების თავკაცის მორტენ ოლსენის დანიშვნის შემთხვევაში, მას „ტყუპი“ და ჯონ ვან სხიპი დაეხმარებიან.

სკანდინავიური სახელმწიფოს ფეხბურთის ფედერაციას 59 წლის სპეციალისტის გაშვება არ უნდა, მაგრამ აწ უკვე ყოფილი დამრიგებლის მარკო ვან ბასტენის დათხოვნის შემდეგ მისი კლუბის ბოსები მზადყოფნას გამოთქვამენ კონტრაქტის გაწყვეტის სანაცვლოდ შესაბამისი კომპენსაცია გადაიხადონ.

შეგახსენებთ, რომ „ჯვაროსანთა“ საუკეთესო ბომბარდირი 1997-1998 წლების სეზონის წინ თურქული „ტრაბზონსპორიდან“ „აიაქსში“ სწორედ ოლსენმა მიიწვია და მაშინ ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად ქართველმა ლეგიონერმა გუნდის საუკეთესო ბომბარდირის წოდებაც მოიპოვა.

რაც შეეხება პერსპექტივას, ამ დღეებში თბილისში მყოფი არველაძე სამშობლოში გამომგზავრებამდე „აიაქსის“ ოფისში მის ხელმძღვანელობას შეხვდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. იგი ალკმაარელთა ახალი მთავარი მწვრთნელის რონალდ კუმანის წინადადებას ელის და არჩევანს მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთებს.

**გიორგი შოთაძე**

ნბა

# საპლეიოფო ვნებანი

**პროფესიული კალათბურთის ქომაგებს თვალსასეირო სანახაობა არასდროს მოჰკლებიათ, მაგრამ პლეი-ოფები მაინც სულ სხვაა — სარბიელზე ვნებები დუღს და გადმოდუღს. ამაზე უკვე გამართული ნახევარფინალური მატჩების შედეგები მეტყველებს.**



**„ლოს ანჯელესი“ – „დენვერი“ 105:103, 103:106 (1:1ძ.**

პირველი ბრძოლა მასპინძლებმა კობი ბრაიანტის ძალისხმევით მოიგეს. ისინი საპასუხო შეხვედრაშიც დაწინაურდნენ — 51:40, მაგრამ კარმელო ენტონიმ და ჩონსი ბილაფსმა მეორე ნახევარში გარდატეხა შეიტანეს თამაშის ხასიათში და საერთო ანგარიში გაათანაბრეს.

**„კლივლენდი“ – „ორლანდო“ 106:107 (0:1ძ.**

რეგულარული სეზონის გამარჯვებულს ვერც ლებრონ ჯეიმსის ფანტასტიკურმა ბურთაობამ უშველა (49 ქულა!ძ.

ცურვა



# „ტონუსის“ ცისფერ ბილიკებზე

**წყალთა სახეობების სპორტულ ცენტრ „ტონუსში“ გრძელდება თბილისის მერიის თასის ღია გათამაშება ცურვაში. საასპარეზოდ მასპინძლებთან ერთად თავი მოიყარეს ბათუმის, რუსთავის, გორის, საჩხერის რაიონის სოფელ ჭორვილას საჯარო სკოლისა და ბაქოს წარმომადგენლებმა.** ორდღიანი ორთაბრძოლების შემდეგ პირველ ადგილებზე გავიდნენ ეკა კაჭახიძე (თბილისი, 50 და 100 მ. ბრასიძ, ნასტია გრივაჩი (თბილისი, 100 და 200 მ. თავისუფალი ყაიდაძ, ელენა პაშუტინა (ბაქო, 50 და 100 მ. გულაღმა ცურვაძ, გიორგი მთვრალაშვილი (თბილისი, 50 და 100 მ. გულაღმა ცურვაძ, ირაკლი რევიშვილი (თბილისი, 100 და 200 მ. თავისუფალი ყაიდაძ, თემურ გულიევი (ბაქო, 50 მ. ბრასი, 50 მ. ბატერფლაიძ, ბესო მდივანი (თბილისი, 100 მ. ბრასიძ, ირაკლი შენგელია (თბილისი, 400 მ. კომპლექსური ცურვაძ და დავით სიხარულიძე (თბილისი, 800 მ. თავისუფალი ყაიდაძ.



ცალკე აღნიშვნის ღირსია ჭორვილას საჯარო სკოლის მოსწავლეთა (მწვრთნელი თემურ კვესაძეძ წარმატება. ორი დღის განმავლობაში ისინი ოთხჯერ ავიდნენ კვარცხლბეკზე: ორი ვერცხლის მედალი თამარ გამგებელს ხვდა, ხოლო მარიამ ზუბიაშვილმა და ლევან გამგებელმა „ბრინჯაო“ დაიმსახურეს.

მერიის თასის გათამაშება დღეს დამთავრდება.

**გიორგი გაგუა**

**სურათებზე: ირაკლი რევიშვილი ფინიშის შემდეგ; სოფელ ჭორვილას მოცურავეთა გუნდი.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ინტერნეტიდან

## ვანკუვერი ჩირაღდანს არ შეცვლის

**2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა გადაწყვიტა, ყურადღება არ მიაქციოს ზოგიერთი კანადური გაზეთის ქირქილს, თითქოს ოლიმპიური ჩირაღდანი ჰგავდეს მარიხუანით გამოტენილ პაპიროსს.**



როგორც „ვანკუვერ-2010“-ის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა დევი კოზმა განაცხადა, კომიტეტმა იგნორირება ყო საგაზეთო სტატია „ოლიმპიური ნაფაზი“.

ლითონიდან დამზადებული ჩირაღდნის კრიტიკა შარშან თებერვალშივე დაიწყეს, როდესაც ის საზოგადოებრიობას წარუდგინეს. დიზაინერები კი მას ისე ხსნიან, როგორც ზამთრის ლანდშაფტების კონტურებსა და სპორტის ზამთრის სახეობების ხაზებში დანახულ კანადას, რასაკვირველია, ცოტა სტილიზებულად. სწორედ ამიტომ წაამგვანეს ის თვითგადახვეულ სიგარეტს.

ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა მთელ კანადას 106 დღეში შემოივლის და 45 ათას კილომეტრს გაივლის, სანამ მთავარ ოლიმპიურ ჩირაღდანს აანთებს 2010 წლის 12 თებერვალს.

## მწვერვალებს შეუტიეს

**გუშინ ვწერდით, რომ მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი (8848 მეტრიძ დაიპყრო რუსი ალპინისტების ჯგუფმა. ახლა კი ინტერნეტით ცნობილი გახდა, რომ იმ მწვერვალეთში ლხოცზეზე (8511 მძ ავიდა 47 წლის სამთო გიდი, შვეიცარიელ-გერმანელი რალფ დიუჟმოვიცი.**

ევერესტის მეზობელი ეს მწვერვალი ბოლო რვაათასმეტრიანია, რალფმა რომ დაიპყრო. ამისთვის კი მას 21 წელი დასჭირდა. ის ჰიმალაიზე პირველად 1988 წელს ჩავიდა და ექსპედიციასთან 7800-მეტრიან მწვერვალზე ავიდა.

ლხოცზეზე დიუჟმოვიცი ავიდა 6 ალპინისტთან ერთად, რომელთა შორის იყო მისი ცოლიც — ავსტრიის მოქალაქე, გერლინდა კატენბრუნერი. მისთვის ეს მე-12-ეა მსოფლიო მთავარი მწვერვალებიდან. ქალთა შორის ამ საქმეში პირველობას



უყოფს ესპანელ ედურნე პასაბანს. ქალბატონი ბასკების ქვეყნიდან ერთი დღით ადრე იყო კანჩენჯანგის მწვერვალზე (8586 მეტრიძ. ინდოეთისა და ნეპალის საზღვარზე მდებარე ამ მწვერვალზე მასთან ერთად იყო მისი თანამემამულე ხუან ოიარზობალი, რომლისთვისაც ეს რვაათასმეტრიანებზე 23-ე წარმატებული ასვლა იყო.

## როცა ფეხბურთი უყვარს

**თავის დიდი სიყვარულს ფეხბურთისადმი მთელ მსოფლიოს უმხელს ცნობილი ბრიტანელი მოდელი, ინგლისის-2004 და ბრიტანეთის-2006 წლების ლამაზმანი დანიელ ლოიდი. როგორც ჩანს, მასზე დიდი გავლენა მოახდინა ლონდონის „ტოტენჰემის“ ნახევარმცველმა ჯეიმ ო' ხარამ.**

ამ 22 წლის ფეხბურთელმა თავის კლუბში 15 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 1 გოლიც გაიტანა. თუმცა მარტის შემდეგ მუხლის სერიოზული ტრავმის გამო აღარ უთამაშია.

მაგრამ ხომ გაგიგიათ: უბედურება ბედნიერებად ექცაო. თუმცა ფეხბურთს ვერ თამაშობს, სამაგიეროდ დიდ დროს ატარებს თავის ახალ სატრფოსთან. ისინი ერთად დადიან რესტორნებში და, როგორც ჩანს, ძალზე ბედნიერნიც არიან. დანიელა ძველებურად აცხადებს, რომ ქვეყნად ფეხბურთზე ძვირფასი არაფერიაო, ჯეიმსს კი ყველაფერი ახარებს — „დანიელა ხომ ასეთი სექსუალურია“.



დანიელამ პოპულარობა მოიპოვა ისეთ ფეხბურთელებთან დროსტარებით, როგორნიც არიან თედი შერინგემი, მარკუს ბენტი, ჯერმეინ დეფო. მას ცილს სწამებენ პილოტ ლუისი ჰემილტონთან ურთიერთობაზეც.

აფროსნობა

# აისბერგს რომ არ შეეჯახონ

**მეშვიდე ეტაპი დაიწყო იახტებით დედამიწის გარშემო რბოლამ Volvo Okean Race. მისი სიგრძე ბოსტონიდან (აშშძ ირლანდიის გოლუეიმდე 2550 საზღვაო მილია.** ფლოტილიის ლიდერი უკვე რამდენიმეჯერ შეიცვალა. იახტები ისე მჭიდროდ მიდიან, რომ პირველიდან ბოლო იახტამდე მანძილი მხოლოდ 40 მილია. ნიუფაუნდლენდიდან ფლოტილია სამხრეთისკენ დაეშვება და 14 მილზე გაიჭიმება, რათა შემოუაროს „ყინულის ზონას“ — რაიონს, რომელიც „ვოლვოს“ მონაწილეთათვის დახურულია იმის შიშით, რომ იახტები აისბერგებს არ შეასკდნენ.



## გახსენება

# სევდით სავსე ორმოცი დღე

### ძმობის, ერთგულებისა და კაცურკაცობის ეტალონი



ორმოცი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც 74 წლისა გარდაიცვალა სამედიცინო სამსახურის თადარიგის პოლკოვნიკი ნოდარ ასათიანი.

წავიდა ჩვენგან ქართველი ერის საუკეთესო ტრადიციების ჩინებული გამგრძელებელი, ვალმოხდილი პიროვნება.

ბატონმა ნოდარმა განვლო გრძელი და რთული გზა ლეიტენანტიდან პოლკოვნიკობამდე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ როგორც ერთ-ერთი საუკეთესო, თადარიგიდან საბჭოთა არმიაში გაიწვიეს და საველე სამედიცინო ბატალიონის სამედიცინო ნაწილის ექიმად ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში, კუნძულ რიბაჩიზე გაამწესეს.

ქალაქელ ახალგაზრდას უმკაცრეს პოლარულ კლიმატურ პირობებთან შეგუება, სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება უჭირდა, მაგრამ ქართველი რა ქართველია, თუ თანაბარ პირობებში სხვაზე უკეთესი არ იქნება. მან კარგად იცოდა, „ვისი გორისა იყო“. ნოდარს კოლოსალური შრომა დასჭირდა, რომ მოკლე ხანში სამხედრო ექიმის რთულ და საინტერესო პროფესიას დაუფლებოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ სამსახურის გასაგრძელებლად ბაქოს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ოლქში გადაიყვანეს. იმ პერიოდში, როდესაც ქართველებს არც თუ დიდად სწყალობდნენ საბჭოთა არმიაში, წლების მანძილზე იყო საზენიტო-სარაკეტო ბრიგადის სამედიცინო სამსახურის უფროსი, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კორპუსის სამედიცინო სამსახურის უფროსის მოადგილე.

სამსახური საქართველოს სამოქალაქო თავდაცვის სამედიცინო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაამთავრა.

პენსიაზე გასვლის შემდეგ მუშაობდა პასუხსაგებ თანამდებობებზე სამედიცინო დარგში.

დაჯილდოებული იყო ორდენითა და მრავალი მედლით.

ბატონი ნოდარი ძმობის, ერთგულებისა და კაცურკაცობის ეტალონი იყო. ის იყო დიდი ადამიანი, უბადლო მეგობარი და მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუა. ძალზე ძნელი აღმოჩნდა მისთვის უსაყვარლესი მეუღლის, ქალბატონ ლია ჩაჩიბაიას გარდაცვალება.

მიილია სევდით სავსე 40 დღე, რაც ბატონი ნოდარი ჩვენგან წავიდა. მან თავის ქალიშვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებსა და მეგობრებს დაგვიტოვა დიდი სიყვარული, სითბო, რომელიც მარადიულად დარჩება ჩვენს შორის.

ჰამლეტ გეგენავა, ალექსანდრე ვაშაკიძე, შოთა ვაშაკიძე, ომარ ლეკვეიშვილი, თენგიზ შუბლაძე, თეიმურაზ ჩოხელი, ჯუმბერ ხაბურზანია

## ხსოვნა

# ნიკოლოზ მაჯაგალაძე



„ნიუ ჰოსპიტალს“ — პ. სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის ინსტიტუტი და პ. ქავთარაძის სახელობის ნევროლოგთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მედიცინის დოქტორი, ცნობილი ნევროლოგი, კლინიცისტი და პედაგოგი ნიკოლოზ აკაკის ძე მაჯაგალაძე.

დაიბადა 1922 წელს. მან შრომითი საქმიანობა დაიწყო 1946 წელს, მუშაობდა ყაბარდოს ავტონომიურ რესპუბლიკაში ხუთი წლის მანძილზე, ხოლო შემდეგ თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში კლინიკური ორდინატორის თანამდებობაზე. 1957 წელს დაამთავრა ასპირანტურა. 1962 წლიდან მუშაობდა ინსტიტუტის ჯერ უფროს, შემდეგ წამყვან და მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად. იგი ორჯერ გაგზავნეს საზღვარგარეთ ხანგრძლივ მივლინებაში, ორი წელი მუშაობდა კუბაში სანტიაგო დე კუბის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პედაგოგ-კონსულტანტად, ხოლო ოთხი წელი კუვეიტის საემირო ჰოსპიტალში პედაგოგ-კონსულტანტად. შვიდი წლის მანძილზე იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ნევროლოგი. იგი არის მრავალი ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი.

ნ. მაჯაგალაძე დაჯილდოებული იყო „ჯანდაცვის ფრიადოსნის“ ნიშნით, მედლით „უმწიკვლო შრომისათვის“, „ღირსების მედლით“ და მრავალი საპატიო სიგელით.

მას დიდი წვლილი მიუძღვის მრავალი ექიმის ჩამოყალიბებისა და აღზრდის საქმეში. მთავარი ღირსება ნ. მაჯაგალაძის ცხოვრებაში იყო უანგარობა, უმწიკვლობა და უსაზღვრო მზრუნველობა ყველა პაციენტისადმი.

სადაც არ მოღვაწეობდა ნ. მაჯაგალაძე, ყველგან იმსახურებდა ადამიანთა განუსაზღვრელ სიყვარულს. ჩვენს გვერდით ცხოვრობდა უნიკალური პიროვნება, რომელმაც დაგვიტოვა სინანული და მისდამი ღრმა პატივისცემა.

ინსტიტუტის კოლეგები და თანამშრომლები

## სანთელი

# ჯემალ ყიფიანი



კიდევ ერთი ნამდვილი თბილისელი დააკლდა ქალაქს, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ღირსეული ქართველი, მოქალაქე და მეგობარი ჯემალ ყიფიანი.

იგი უყვარდა ყველას, ვინც კი მას იცნობდა, უყვარდათ მისი თბილი გულის გამო, რომელმაც 71 წლის ასაკში უღალატა. ბავშვობიდან უმამოდ გაზრდილი, ცხოვრებაში ულალატო კაცი იყო. ოჯახზე, მეგობრებზე, მეზობლებზე, ნათესავებსა და ქვეყანაზე შეყვარებული, გამოსარჩევად გულთბილი და ჩვილი გულის მქონეც, უზომოდ ხელგაშლილი, მოწყალე და უშურველი ადამიანი. ყველას დამხმარე, გვერდში მდგომი, ჭირის, ლხინისა და სიხარულის გამზიარებელი იმედიანი კაცი იყო ჯემალ ყიფიანი, რომელსაც საქართველოში მეგობართა ფართო წრე ჰყავდა. ყველგან და ყოველთვის ცდილობდა სიკეთე დაეთესა, არავის გაამტყუნებდა, აუგი არავისზე დასცდებოდა. ალმერთებდა თავის ოჯახს, ცოლ-შვილს, შვილიშვილებს თვალებში შესციცინებდა. მეგობრებთან ხომ უტყუარი, გვერდში მდგომი, მოსიყვარულე კაცი იყო. ჩვენ, მისმა მეგობრებმა კარგად ვიცოდით მისი ფასი, სითბო და სინათლე გამოსჭვივოდა მის ყოველ სიტყვასა და ქცევაში, გარშემო მყოფთ სიხარულსა და სიმშვიდეს გვრიდა. წრფელი და უშუალო კაცი იყო და სამართლიანობის გრძნობა არასოდეს ღალატობდა.

ჯემალ ყიფიანის ამ ქვეყნიდან წასვლამ დიდი ტკივილი დაგვიტოვა, ტკივილთან ერთად მისი სიყვარული, სითბო და ღიმილი დაგვრჩა. მისი ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება ოჯახის, ნათესავების, მეგობრებისა და ამხანაგების გულში. უფალს შევთხოვთ ნათელში დაამკვიდროს ამ შესანიშნავი კაცის სული.

მეგობართა ჯგუფი.

# გურამ მამალაძე

საქართველოს აკად. წინამძღვრიშვილის სახელობის კარდიოლოგიის ინსტიტუტმა და მასთან ერთად მთელმა ქართულმა კარდიოლოგიურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა კარდიოლოგიის ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების გამგე, მედიცინის დოქტორი, პროფესორი გურამ მამალაძე.



პროფესორმა თადეოზ მამალაძემ და მისმა მეუღლემ ქალბატონმა ნინომ თავისი ორი ვაჟიშვილი გურამი და მურმანი, შემდგომში ცნობილი ექიმები, ღირსეულ ქართველებად გაზარდეს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მათ სხვადასხვა კლინიკებს მიაშურეს. ბატონი გურამი კარდიოლოგიის ინსტიტუტში დამკვიდრდა.

კარდიოლოგიის ინსტიტუტის მესვეურები ყოველთვის დიდი სიფრთხილით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ კადრის შერჩევის საქმეს. დიდი შინაგანი ინტელექტი, მაღალი ზნეობა და ფუნდამენტალური განათლება — აი ის ძირითადი კრიტერიუმები, რომელიც ინსტიტუტის თანამშრომელს უნდა ჰქონოდა. სწორედ ამ თვისებების მატარებელი იყო გურამ მამალაძე. ამიტომაც ერგო მას წილად ბედნიერება — ყოფილიყო კარდიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი.

ბატონი გურამი ამ ინსტიტუტის მეორე თაობა გახლდათ. ეს ორი, მამების და შვილების თაობა, ერთმანეთისგან განსხვავებული და ერთდროულად ერთმანეთის მსგავსიც იყო. თავისი სპეციალობის ერთგულება, პაციენტისადმი გულმოწყალება, კოლეგიალობა, სუბორდინაციის დაცვა იყო ამ თაობათა საერთო ნიშანი. გურამ მამალაძემ ეს ტრადიცია ღირსეულად გააგრძელა.

გურამ მამალაძე კარგად ფლობდა კლინიკურ ოსტატობას, რაშიც მას პროფესიონალურ ცოდნასთან ერთად ეხმარებოდა დიდი ზოგადი განათლება. ამიტომ მარტივად პოულობდა საერთო ენას ნებისმიერი სპეციალობის პაციენტთან, ადვილად იმსახურებდა მათ ნდობას. კეთილშობილი, კაცთმოყვარე პიროვნება საკუთარი თავისადმი დიდი მომთხოვნელობით გამოირჩეოდა. არასოდეს უცდია თავის წარმოჩენა, ყოველთვის ჩრდილში ყოფნას არჩევდა. მაგრამ სახელი და აღიარება თავად მოვიდა მასთან.

ბატონი გურამი იყო საქართველოს, ევროპის, ამერიკის კარდიოლოგთა საზოგადოების წევრი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი საინტერესო სამეცნიერო შრომა. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ყოველთვის მეცნიერული სიახლით იყო გამორჩეული.

განათლებული, ქართული და რუსული ენების უზადოდ მცოდნე ერთდროულად კარგად ფლობდა გერმანულ და ინგლისურ ენებსაც. ეს მას საშუალებას აძლევდა მუდამ მედიცინის სიახლეთა საქმის კურსში ყოფილიყო. მისი ყოველი მივლინება უცხოეთში ახალი მეცნიერული მიმართულების დანერგვით მთავრდებოდა. ამერიკაში სამეცნიერო მივლინების შემდეგ მისი თაოსნობით ინსტიტუტში დაინერგა ფსიქოლოგიური ტიპის ზეგავლენის შესწავლა გულსისხლძარღვთა დაავადებებზე, მუნჯი იშემიის პრობლემის კვლევა და სხვა.

გურამ მამალაძის ამ ქვეყნიდან წასვლით, კიდევ ერთი ღირსეული ადამიანი გამოაკლდა ქართულ ინტელიგენციას; კიდევ ერთი მაღალკვალიფიციური ექიმ-კლინიცისტითა და მეცნიერით გაღარიბდა წინამძღვრიშვილის ინსტიტუტი და საქართველოს კარდიოლოგთა საზოგადოება. სანუგეშოდ უკან დარჩა ქართული სამედიცინო სკოლის ტრადიციებზე აღზრდილი ექიმების რამდენიმე თაობა, რომელთაც კიდევ დიდხანს ემახსოვრებათ ბატონი გურამის მოკრძალებით მიცემული რჩევა-დარიგება. მისი პიროვნული ხიბლი და მეგობრობა.

მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა!

მეგობრები და კოლეგები

ჯანსულ ჩარკვიანი და ირმა ჩხეიძე დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათი სიძის ჯონი გიგანის ძმა, ღირსეული ქართველი

ბერდია გიგანი

და ღრმა სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ჭირისუფლებს.

---

აფხაზეთის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ყოფილ პირველ მოადგილეს ბატონ რამაზ სიჭინავას დედის

ზემფირა
ჩაჩიბაია-სიჭინავას

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე თამუნა შანიძე, დედა ლენა ნაზარიშვილი, შვილები ლაშა, გიორგი კრიალაშვილები, და ლია გილაური, სიძე სოსო გილაური, დისწულები თამუნა, ქეთინო, სოსო გილაურები, სიძე არსენ ბეგიაშვილი, დისშვილიშვილი ელენე ბეგიაშვილი, რძალი მადონა კლდიაშვილი, სიდედრი ნელი, სიმამრი კარლო შანიძეები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გია ოთარის ძე კრიალაშვილი

პანაშვიდი 23 V, 17 სთ. ვაჟა-ფშაველას გამზირი, III კვარტალი, 21 კორპუსი. გამოსვენება 24 V, 15 სთ. წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიიდან (მეტროს სადგურ ვაჟა-ფშაველასთან).

---

საქართველოს უზენაესი სასამართლო თანაუგრძნობს ხათუნა გოგაშვილს დედის

სიდონია გოგაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საზოგადოება „ზუგდიდელის“ სახელით, ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ანზორ შონია, მურმან ნაჭყებია, ვახტანგ კვარაცხელია, ვაჟა ფიფია, ჯემალ კვირტია, თამაზ გაფრინდაშვილი, ჯუმბერ ქვარაია, ოთარ ჭითანავა, კახა არდია, კუკური როგავა, ზურაბ ჩიქავა, სოსო ხარებავა, რობერტ ბაღიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, საპატიო ზუგდიდელი

ხუტა (გიორგი) ხუფენია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

სულიერება

# სვიმონ კანანელი — საქართველოში ქრისტეს მქადაგებელი



**23 მაისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია იხსენიებს სვიმონ მოშურნე, კანანელს, რომელიც იყო ათორმეტთაგან მოციქული, და რაც მთავარია, საქართველოში ქრისტეს რჯულის მქადაგებელი (მისი საფლავი და კლდეში გამოკვეთილი კელია მდებარეობს აფხაზეთში, ახალ ათონში).**

...წმიდა მოციქული სვიმონ კანანელი იყო იესო ქრისტეს თვითმხილველი, მის გვერდზე მდგომი, სარწმუნო მოწაფე, მეგობარი და მისი სიყვარულისა და ერთგულების ბოლომდე დამმარხველი.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარიამის თხოვნით უფალმა სვიმონ კანანელის ქორწილში პირველი სასწაული აღასრულა – წყალი ღვინოდ ქაცია.

იმდენად დიდი იყო წმინდა სვიმონ კანანელის სიყვარული ღვთისადმი, რომ მან ამქვეყნიური ყველაფერი დატოვა და მაცხოვრის კვალს გაჰყვა.

წმიდა მოციქულმა მრავალ ქვეყანაში იქადაგა ქრისტეს მოძღვრება, მათ შორის ყოვლადწმიდას წარდგინებით, ანდრია პირველწოდებულთან ერთად, იბერიაშიც.

როგორც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თავის ერთ-ერთ ქადაგებაში ბრძანებს: „საქართველოს მიწა ქრისტეს ზიარი სისხლით იკურთხა: სვიმონ კანანელის მიერ დაღვრილი მოწამეობრივი სისხლი არის ჭეშმარიტად მირონი ღვთისა წინაშე... და დღეს, როდესაც წმიდა სვიმონის მიერ კურთხეული აფხაზეთი ყოველი ქართველის ღია ჭრილობად იქცა, შევევედროთ დიდ წმიდანს, შეგვეწიოს, შევთხოვოთ მის სახიერებას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და მისი სულიერი ამაღლება“.

მოამზადა
**გიული ლიპარტიამ**

მოვლენის წინ

# რა ხანია საქართველო გელისო, ამ დაღვრემილ სამშობლოშიც გაიბრწყინე, ელისო!..

**დიახ, 1997 წლის შემდეგ აღარ ჩამოსულა სამშობლოში გამოჩენილი პიანისტი, არაერთი პრესტიჟული საერთაშორისო კონკურსების გამარჯვებული, ბახის (ლაიფციგი), ვიანა და მოტას (ლისაბონი), ვან კლიბერნის (აშშ), მარგარიტა ლონგისა (პარიზი) და დუბლინის საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი ელისო ბოლქვაძე. აქვე ვთქვათ, რომ მარგარიტა ლონგის კონკურსზე ელისოს გადაეცა სპეციალური პრიზიც ფრანგული მუსიკის საუკეთესო შესრულებისთვის. იგი ლაურეატია საქართველოს სახელმწიფო პრემიისა...**



მახსოვს, 1997 წელს, მისი გამოსვლის დროს, როგორ გაითიშა დენი (შეჩვეულები ვიყავით თბილისელები) და ელისომ გენერატორის შუქზე როგორ დაასრულა კონცერტი... თავისი სათაყვანო ქალიშვილის ბრწყინვალე შესრულებას, უამრავი მსმენელის აღტაცებას უკანასკნელად შეესწრო ჩვენი ძვირფასი ძმა და მეგობარი, ჩვენგან ნაადრევად წასული უნიჭიერესი პოეტი ზაურ ბოლქვაძე... ვინ დაგვწყევლა, ვინ გადასცა ხატზე ასე უსაშველოდ ჩვენი ქვეყანა — 12 წლის წინათ თუ უდენობა გვაწუხებდა, დღეს საკნები დახვდა რუსთაველზე ელისო ბოლქვაძეს.

როგორც გუშინ „თბილისი-მარიოტში“ პრესკონფერენციაზე ითქვა, ამ პროექტს — ელისო ბოლქვაძის და ცნობილი ფრანგი კომპოზიტორისა და დირიჟორის ლორან პეტიურარის თბილისში გამოსვლას ბევრმა რამემ შეუშალა ხელი (განსაკუთრებით აგვისტოს ომმა) და აქამდე მოვიდა.

და აი, ელისო ბოლქვაძე თბილისშია, ორშაბათს, 25 მაისს, საღამოს 19 საათზე საქართველოს ეროვნულ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (რომელსაც ლორან პეტიურარი უდირიჟორებს) ქართველი პიანისტი შეასრულებს გაბრიელ ფორეს, ბეთჰოვენის, ფელიქს მენდელსონ-ბართოლდის, ალექსი მაჭავარიანის ნაწარმოებებს. კონცერტის მხარდამჭერნი არიან თბილისის მერია, კულტურის სამინისტრო, კლასიკური მუსიკის ხელშეწყობის ასოციაცია საქართველოს პირველი ლედის სანდრა ელისაბედ რულოვსის ხელმძღვანელობით. გენერალური სპონსორია თიბისი ბანკი. ყველა მათგანს პრესკონფერენციაზე დიდი მადლობა გადაუხადა ელისო ბოლქვაძემ.

მაშ, წარმატება გვისურვებია!.. რა ხანია საქართველო გელისო, ამ დაღვრემილ სამშობლოშიც გაიბრწყინე, ელისო!

**ვილენ მარდალეიშვილი**

ჯანმრთელობა

## დაისიცხეთ, ცხვირიდან სისხლი წაგსკდათ?



**ჭიქაში გაცივებულ ადუღებულ წყალში გახსენით სავსე სუფრის კოვზი ლიმონის წვენი ან ჩაის კოვზი ძმარი (მაგრამ ესენცია კი არა!). ცოტაოდენი ხსნარი დაისხით ხელის გულზე და ფრთხილად შეისრუტეთ ცხვირით. რამდენიმე წამით გააჩერეთ იქ. ნესტოებზე თითების მოჭერით. ამ პროცედურის დროს მშვიდად იჯექით, ან იდექით. არ წამოწვეთ.**

თუ სისხლი მარჯვენა ნესტოდან მოდის, თავზე მაღლა აწიეთ მარჯვენა ხელი, მარცხენათი კი მოუჭირეთ ამ ნესტოს. თუ სისხლი მარცხენა ნესტოდან მოგდით, გაიმეორეთ იგივე მოძრაობა ხელების შეცვლით.

## ფუტკარმა გიკბინათ?

**ფუტკარი ნაკბენში ნესტართან ერთად სტოვებს შხამის პარკუჭს, რომელსაც შეუძლია მძლავრი ალერგიული რეაქციის — შეშუპების, ქავილის, ჭინჭრის გამონაყარის, ფალარათის და პირის ლებინების გამოწვევა.**



ეცადეთ, სწრაფად ამოიღოთ ნესტარი. ჩვეულებრივი ნემსი დაასველეთ სპირტით ან იოდით, შემდეგ ფრთხილად ამოიღეთ ჭრილობიდან შიგ ნადები, ოღონდ ნუ გაჩიჩქნით ნაკბენ ადგილს. პროცედურის შემდეგ ნატკენ ადგილზე დაიდეთ ცივი კომპრესი, რათა სწრაფად შეაჩეროთ კანის შეშუპება. დალიეთ ტავეგილი ან სუპრასტინი.

## ყველი ძილს ამაგრებს

**ყველი თავიდან გვაშორებს უძილობას, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტანელი მეცნიერები.**

ისინი ძილის წინ ყველს აჭმევდნენ 200 მოხალისეს. რამდენიმე კვირის შემდეგ გამოკვლევის ყველა მონაწილემ შეაფასა თავისი ძილის ხარისხი. მათმა 72 პროცენტმა აღნიშნა, რომ უფრო სწრაფად იძინებს და კარგადაც სძინავს. გამოსაცდელთა ორმა მესამედმა გაიხსენა, თუ რა დაესიზმრა, თუმცა იქამდე ვერ იმახსოვრებდა სიზმრად ნახულს, არც ერთ მოხალისეს ძილში არ სტანჯავდა კოშმარი.

სწავლულთა აზრით, ყველშია ტრაფტოფანის ამინომჟავა, რომელიც ეხმარება სტრესის მოხსნას და აუმჯობესებს ძილს.

## სოკო იმუნიტეტს აუმჯობესებს

**საკვებად სოკოს სისტემატური გამოყენება დადებითად ზემოქმედებს ადამიანის იმუნიტეტურ სისტემაზე** და ხელს უწყობს ორგანიზმის დაცვას სხვადასხვა ვირუსებისა და დაავადებაშემცველი ბაქტერიებისგან, — ასეთ დასკვნამდე ხანგრძლივი გამოკვლევების შემდეგ მივიდნენ



ამერიკელი მეცნიერები. ექსპერტების თქმით, ყველაზე კარგად იმუნოსისტემის გააქტიურებაზე მოქმედებს შამპინიონი და ტყის დათვის სოკო („ბოროვიკი“), მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ოპტიმალური ყოველდღიური ულუფაა 100-200 გრამი ახალი ან გამხმარი სოკო.

## მუსიკა სტრესისგან გიხსნით

**ამას ამტკიცებენ ამერიკელი მეცნიერები. მათი აზრით, მუსიკა ეხმარება გულით დაავადებულებს, თავიდან აიცილონ მომავალი მკურნალობით გამოწვეული სტრესი და შიში.**

მათ მიაკვლიეს, რომ დღეში 30-წუთიანი მუსიკა ადამიანებს ეხმარება დიაგნოზით გამოწვეული განცდების აცილებაში. სტატისტიკის მიხედვით, გულით დაავადებულთა ნახევარზე მეტი ფიქრობს შესაძლო გართულებებზე და ქირურგიული ჩარევის ალბათობაზე.

„უსმინეთ მუსიკას, ქრონიკული სტრესი ხომ ხელს უწყობს ჰიპერტონიის განვითარებასა და აუარესებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს“, — ამბობენ მეცნიერები.

## საღეჭი რეზინი სწავლაში გვეხმარება?

**ცნობილია, რომ ხშირად მასწავლებლები და ლექტორები უკრძალავენ მოსწავლეებსა და სტუდენტებს გაკვეთილებსა და ლექცია-სემინარებზე საღეჭი რეზინის ღეჭვას, თუმცა ბეილორის სამედიცინო კოლეჯის სპეციალისტებმა დაამტკიცეს, რომ საღეჭი რეზინი დადებითად მოქმედებს სწავლაზე.**



როგორც გამოირკვა, სტუდენტებმა, ღეჭვა რომ უყვართ, უფრო მაღალი შეფასებები მიიღეს მათემატიკის გამოცდაზე, გამოსაშვები ქულებიც გაცილებით მაღალი ჰქონდათ, ვიდრე მათ, კევი რომ არ უყვართ.

მეცნიერებმა ადრე უკვე აღმოაჩინეს საღეჭი რეზინის გამოყენების სხვა პოზიტიური ეფექტიც — ის მშვენივრად ხსნის სტრესსა და შიშს.

**უცხოური პრესის მიხედვით**

ანეკდოტები

**— დედი, რატომ იყო სოლომონი ასეთი ბრძენი?**

**— იმიტომ, შვილო, რომ მას ბევრი ცოლი ჰყავდა და იგი თითოეულ მათგანს ეთათბირებოდა.**

* * *

**მამა თავის უმცროს ბიჭუნას დამალობანას ეთამაშება.**

**— აბა, სადა ხარ? სადა ხარ-მეთქი! კარგი, გნებდები, გამოდი, — იძახის მამა. ოღონდ ის მითხარი, საიდან იცოდი ჩვენს სახლში ისეთი სამალავები, რომელთა არსებობაც კი არ გამიგია? აბა, გამოტყდი!**

**— ბიძიამ მითხრა!**

**— რომელმა ბიძიამ?**

**— რომელმა და, შენს არყოფნაში დედასთან რომ მოდის ხოლმე.**

* * *

**— არ ვიცი, როგორ მოვიქცე, — ეუბნება დაშა დაქალს. — ჩემი ქმარი სამ წელზე მეტია ამერიკაშია წასული და ახლა შემომითვალა, ჩვენს ორივე შვილთან ერთად ჩამოდიო.**

**— მერე რა გიშლის ხელს?**

**— რა და ის, რომ ახლა უკვე ოთხი შვილი მყავს.**

კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.